# ალია

N8/2938/ 21 იანვარი 2014 წ ფასი 1 ლ

ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

გამოდის 1995 წლიდან

WWW.ALIA.GE


## ექსპერტი

### დღის მოვლენები, საფრთხეები და ექსპერტის შეფასებები



## რა შეურაცხყოფა მიაყენა საქართველოს პრეზიდენტს თურქეთის ხელისუფლებამ

### რა შეცდომა დაუშვა ქართულმა სპეცსამსახურმა



რა სკანდალით დაიწყო მარგველაშვილის ვიზიტი თურქეთში? რატომ არ დახვდა ჩვენს პრეზიდენტს თურქი კოლეგა? ვინ არის პასუხისმგებელი მარგველაშვილის ვიზიტზე და რისთვის უნდა მოგვიხადოს ბოდიში თურქულმა მხარემ?

*ვრცლად 3 გვ.*

## ექსკლუზივი

### კულტურის სამინისტროს უკულტურო „გრიალი“...



რა თანხა დახარჯა გურამ ოდიშარიას უწყებამ საჩუქრებსა და რესტორნებზე? რით იყო გამოწვეული ამდენი ხარჯი და რატომ ასაიდუმლოებენ რამდენიმე რესტორნის მენიუს, რომელში გადახდილი თანხაც კოლოსალურია?

*ვრცლად 12 გვ.*

## ვინ ატყუებს და აზარალებს ხალხს მერია თუ საკრებულო?

### ვინ გადაარჩინა სიკვდილს მინისტრმა ნარმანიამ?



ბიუჯეტის რა მუხლების გაშიფვრაზე ამბობს უარს მერია? მთავრობის რა ფარული გეგმების ეშინიათ „ნაციონალებს“? რა მოხდება, თუკი საკრებულო თბილისის ბიუჯეტს 10 მარტამდე არ დაამტკიცებს?

*ვრცლად 5 გვ.*

## კამარა

### რა ფარულ სცენარზე მუშაობს სააკაშვილის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი?



## ალია-ფოტო

### რას გადაურჩა ჩიორა თაქთაქიშვილი?



## კულუარები

### რა მიიღო საკუთარ თავზე უგულავამ ქადაგებისას

და რატომ შესცინცინებდა სოზარ სუბარი გიგი უგულავას თვალებში?



### რომელ კანონს არღვევს თეა წულუკიანი და რატომ არ დაისჯება?



ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### ღარიბაშვილი სტრატეგიული ობიექტების ნუსხას მოითხოვს



პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, მთავრობის ეკონომიკური საბჭო საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით საინვესტიციო კანონმდებლობის სრულყოფისთვის სამუშაო ჯგუფის შექმნაზე იმსჯელებს.

პრემიერის ინფორმაციით, საბჭო ასევე განიხილავს საქართველოს კანონს განსაკუთრებული მნიშვნელობის ქონების შესახებ.

„მოგეხსენებათ, რომ სტრატეგიული ობიექტების ცნება აღარ არსებობდა და ჩემი ინფორმაციით, სტრატეგიული ობიექტების ნუსხა იყო გაუქმებული. ჩვენ გამოვდივართ ინიციატივით, რომ განახლდეს სტრატეგიული ობიექტების ჩამონათვალი და მთავრობამ აღნიშნული ნუსხა პარლამენტს დასამტკიცებლად გადაუგზავნოს“, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

### კანცელარიის უფროსს ახალი მოადგილე ჰყავს



საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილედ შსს-ს მომსახურების სააგენტოს უკვე ყოფილი უფროსი ნინო კობახიძე დაინიშნა.

მთავრობის კანცელარიის პრესსამსახურის ცნობით, კობახიძე კანცელარიის მთავრობის ადმინისტრაციად გარდაქმნისა და რესტრუქტურიზაციის პროცესს უხელმძღვანელებს, რომელიც მართვის ევროპულ მოდელზე გადასვლას ისახავს მიზნად.

„კანცელარიის რეორგანიზაცია დაეფუძნება ღია და საჯარო მმართველობის ევროპულ მოდელს. გატარდება მნიშვნელოვანი სტრუქტურულ-ფუნქციური ცვლილებები, რომელიც სამთავრობო სტრუქტურებს შორის მეტ კოორდინაციასა და ეფექტურ მონიტორინგზე იქნება ორიენტირებული და მმართველობის თანამედროვე, ევროპული სტანდარტების დამკვიდრებას შეუწყობს ხელს“, – განმარტავენ კანცელარიაში. (ინტერპრესნიუსი)

## ინვესტიციები 700 მილიონი იყო



ეკონომიკის მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, 2013 წლის სამი კვარტალის მონაცემებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დაახლოებით 700 მილიონი დოლარი, ზუსტად კი 697 მილიონი დოლარია. მისი ინფორმაციით, აღნიშნული მაჩვენებელი გასული წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემებს თითქმის 4%-ით აღემატება.

„ვფიქრობ, მეოთხე კვარტალის დადებითი ტენდენციის გათვალისწინებით, წლიური მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალი იქნება“, – აღნიშნა კვირიკაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## იშხნის რესტავრაცია წელს დასრულდება



ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის ირინა იმერლიშვილის განცხადებით, იშხნის რესტავრაცია წელს დასრულდება, ოშკის კი დაიწყება. მისი განმარტებით, მიმდინარე წელს ოშკის რესტავრაციის დაწყებასთან დაკავშირებით დაპირება ქართულმა მხარემ პრეზიდენტ აბდულა გიულისგან მიიღო.

„იშხანში რესტავრაცია უკვე მიმდინარეობს სახელმწიფოების მოლაპარაკებების შედეგად და 2014 წელს ის დასრულდება. პრეზიდენტი გიული დაგვპირდა, რომ ამ წელსვე დაიწყება ოშკის რეაბილიტაციაც. ეს არის ერთ-ერთი ის საკითხი, რაზეც აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს“, – აღნიშნა იმერლიშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



# „ოცნებამ“ სიტყვა ისევ გატეხა

## რატომ 40% და არა 50?



საარჩევნო ბარიერის აწევა-დაწევასთან დაკავშირებით დიდი ბრძოლები დაიწყო. ვინაიდან არასაპარლამენტო პარტიების უმეტესობას, მათ შორის დღეს უკვე მმართველი გუნდის – „ოცნების“ კოალიციაში შემავალ პარტიებს ჯერ კიდევ „ნაციონალების“ მმართველობის პერიოდში აქვს ხელი მოწერილი მიმართვაზე, სადაც ისინი ბარიერის 50 პროცენტამდე აწევას ითხოვენ... ახლა კი იციან, რომ ბარიერის გაზრდა მათ წისქვილზე ნამდვილად არ ასხამს წყალს, მაგრამ არსებობს გათვლა, რომლის შესახებაც ხმამაღლა არავინ ლაპარაკობს.

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 16 იანვარს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ბარიერი 40 პროცენტი იქნება. ამის შემდეგ დაიწყო გამოსვლები და მოთხოვნა, ეგ ცოტაა, ჩვენ 50-ზე შევთანხმდით. ბარიერის აწევა (შინაგანად) არ აწყობს არასაპარლამენტო პარტიების დიდ ნაწილს, მაგრამ მათი გათვლა გამიზნულია თბილისის მერობის კანდიდატის, დავით ნარმანიას წინააღმდეგ. პრინციპში, ამას კახა კუკავა არც უარყოფს, მისი თქმით, ნახა რა ირაკლი ღარიბაშვილმა ნარმანიას რეიტინგი, მიხვდა, რომ 50-პროცენტიან ბარიერს ვერ გადალახავს და ამიტომაც უნდა 40 პროცენტის დაკანონება. შეგახსენებთ, რომ 2013 წლის დეკემბერში პარლამენტმა საარჩევნო კოდექსი პირველი მოსმენით უკვე მიიღო, სადაც 50 პროცენტია დაფიქსირებული. არასაპარლამენტო პარტიების ნაწილს მოლაპარაკებები აქვს ლევან გაჩეჩილაძესთან, კახა კუკავას, ჯონდი ბაღათურიასა და სხვებს გადაწყვეტილი აქვთ, თბილისის მერობის კანდიდატად წამოაყენონ. ჩვენ არ ვიცით, დღეს რა რეიტინგი აქვს თავად ლევან გაჩეჩილაძეს, მაგრამ საპარლამენტო უმრავლესობაში მაინც ფიქრობენ, რომ მას რაღაც პროცენტების წაღება შეუძლია. არასაპარლამენტო პარტიები, „ნაციონალებთან“ ერთად, „ძველ ჩვენებას“ აწვებიან, თუ „ქართული ოცნება“ 40 პროცენტით გაიმარჯვებს, მაშინ ჩვენს მხარეს 60 პროცენტი დარჩება და ამ შემთხვევაში გამოდის, უმცირესობამ უნდა მართოს უმრავლესობაო. ამაში არის სიმართლის რაღაც მარცვალი, მაგრამ საიდან ასკვნიან „ნაციონალები“, რომ 60 პროცენტი მათ დაუჭერს მხარს, ან საერთოდ რამეს მიიღებენ? როგორც წყარო ამტკიცებს „ალიასთან“ საუბარში, კუკავას ყვირილი და მთელი ეს ალიაქოთი ატეხილია იმის გამო, რომ არასაპარლამენტო პარტიებს დავით ნარმანიას „დაბრედვა“ უნდათ:

„დიახ, მათ იციან, რომ ნარმანია სუსტი კანდიდატია, 50 პროცენტს ვერ აიღებს და ამათ ჰგონიათ, თუ თბილისის მერობის კანდიდატად „გრეჩიხას“ შემოაგდებენ, აუცილებლად იქნება მეორე ტური. არასაპარლამენტო პარტიები ხელმძღვანელობენ ნაძალადევში ჩატარებული არჩევნების გამოცდილებიდან, სადაც „რესპუბლიკელი“ თამარ კორძაია 35 პროცენტით გავიდა. ამ დროს კუკავამ და სხვა პარტიებმა ჯამში მიიღეს 60 პროცენტი. სხვათა შორის, აქ მხოლოდ ნარმანიას საკითხი კი არ არის, ამდენი თვითმმართველი ქალაქია, „ქართულ ოცნებას“ რეიტინგი უკან გაურბის და ესენი დათო უსუფაშვილს „აწვებიან“ მაგრად კულუარებში, ასევე ზვიად ძიძიგურს, თქვენ ამას მხარს ხომ უჭერდით, ახლა რა გეტაკათო? საქმე საქმეზე რომ მიდგეს, არასაპარლამენტო პარტიებს საერთოდ არ აწყობთ 50 პროცენტი... რაღა დროს „გრეჩიხაა“, მაგათ რა არჩევნები უნდა მოიგონ? გაწიე, გამოწიე, „გრეჩიხამ“ 10 პროცენტი ამოაგდოს და ეგ იქნება. თვითონ კუკავასაც უნდა მერობა, მაგრამ ფული აღარ აქვს, თუ რუსული ფული ვინმეს მიუვა, ეს არის ნინო ბურჯანაძე, კუკავას უჭირს და ამიტომაც ცდილობს, ლევან გაჩეჩილაძე შემოითრიოს“.

ვინაიდან ინფრასტრუქტურის მინისტრი, დავით ნარმანია „რესპუბლიკელების“ კადრად მოიაზრება და ივანიშვილის მიერ „მემკვიდრეობით“ დატოვებული თვითმმართველობის კანონპროექტის გადაკეთებაშიც, რამაც აჟიოტაჟი გამოიწვია, დიდი წვლილი მიუძღვის (კანონპროექტი სწორედ მის კაბინეტში გადაკეთდა, სადაც ირაკლი მელაშვილი, ბერძენიშვილები და ხიდაშლები ფარულად იკრიბებოდნენ), დღეს წამგებიან პოზიციაშია და მისი კანდიდატურა არც მთავრობაში ეპიტნავებათ ძალიან, მაგრამ რაკი ბიძინა ივანიშვილმა დაასახელა, წინააღმდეგობის გაწევას ვერავინ ბედავს. ამ შემთხვევაში არასაპარლამენტო პარტიების გათვლა სწორია და აქ არსებობს მეორე მომენტიც – თუკი ნარმანია თბილისის მერი გახდება, მაშინ უნდა ჩავთვალოთ, რომ პარლამენტის შემდეგ „რესპუბლიკელები“ დედაქალაქსაც წაიღებენ და უფრო გაიმყარებენ პოზიციებს.

პრემიერი ღარიბაშვილი, წესით, ორ წყალს შუა უნდა იდგეს, ერთ მხარესაა ნარმანია, „რესპუბლიკელები“ და ბიძინა ივანიშვილის იძულებითი სურვილი (როგორც ამბობენ, ნარმანიას საქციელმა, თვითმმართველობების კანონპროექტთან დაკავშირებით, ბატონი ბიძინა ძალიან გააღიზიანა და ლამის კედლებზეც იარა, მაგრამ წყენა უსუფაშვილის ხათრით დაიოკა), ხოლო მეორე მხარესაა „რესპების“ პარტიული ინტერესები. სხვათა შორის, როცა ნარმანიამ ივანიშვილისეული პროექტის გადაკეთება დაიწყო, მაშინ მწარედ იცრუა, ეს ყველაფერი ჩემს კაბინეტში არასაპარლამენტო პარტიების წარმომადგენლებსაც გავაცანიო. ამაზე კახა კუკავა „ავარდა“: „მინისტრი ცრუობს... მე მოვითხოვ, მან დაასახელოს კონკრეტული გვარები ოპოზიციონერი ლიდერებისა, რომელთაც, როგორც თავად ირწმუნება, ესაუბრა კანონპროექტზე საკუთარ კაბინეტში, ან მოიხადოს ბოდიში სიცრუისთვის“.

მინისტრ ნარმანიას არც გვარები დაუსახელებია და არც ბოდიში მოუხდია, მან არასაპარლამენტოების ყვირილი ერთ ყურში შეუშვა და მეორედან გამოუშვა.

როგორც „ახალი მემარჯვენე“, მამუკა კაციტაძე ამბობს, რეგიონებში კოალიცია აპირებს 33 პროცენტის გატანას და კოდექსის საკუთარ თავზე მორგებას. გამოდის, რეგიონებშიც უმცირესობამ უნდა მართოს უმრავლესობაო. შეიძლება, თუ „ტარანი თვლით რომ არის“, ამ მეთოდის მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს სწორია, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ: რატომ ჰგონიათ არასაპარლამენტოებს და „ნაციონალებს“, რომ დარჩენილი 67 პროცენტი პირწმინდად მათია, დღეს ხომ ბევრს გული აქვს გატეხილი და არც ერთი მხარის აღარ სჯერა?!

20 იანვარს კახა კუკავამ ჯერ ბრიფინგი გამართა, შემდეგ კი (დღის 3 საათზე) თავისი პარტიის ოფისში არასაპარლამენტოები მიიწვია, რათა 21 იანვარს ქუთაისში, ინტერფრაქციული ჯგუფის სხდომაზე საბოლოოდ მიაწვეს საპარლამენტო უმრავლესობას 50 პროცენტის თაობაზე. როგორც უმრავლესობაში აცხადებენ, ხელისუფლება უკან დახევას არ აპირებს და 40 პროცენტის ამბავი უკვე გადაწყვეტილია. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები... ისე, რაღა დაგიმალოთ და გინდა 40 ყოფილა, გინდა – 50, არასაპარლამენტო ე.წ. ოპოზიციას მაინც შანსი არ აქვს, ადგილობრივ არჩევნებში თითო-თითო პროცენტს ჩამოირიგებენ და ეგ იქნება.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ყველა გამგებელი და მერი „მეოცნებე“ უნდა იყოს?!



„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის, ლევან ვეფხვაძის განცხადებით, „ქართულმა ოცნებამ“ გადაწყვიტა, რომ ყველა გამგებელი და ყველა მერი მისი იყოს.

ვეფხვაძის განმარტებით, „ქართული ოცნება“ ცდილობს ყველა იმ ბერკეტისა და ინსტიტუტის გამოყენებას ძალაუფლებისთვის, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ იყენებდა. ვეფხვაძე აცხადებს, რომ ვინც დღეს პარტიებს მერის არჩევისთვის 40%-იან საარჩევნო ბარიერს სთავაზობს, 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს 50%-იან ბარიერს ითხოვდა.

„როდესაც დაიწყო საარჩევნო რეფორმა, ჩვენ ვხედავდით, რომ „ქართულ ოცნებას“ ჰქონდა ორი არჩევანი, გამოეყენებინა ყველა ინსტიტუტი, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ იყენებდა თავის დროზე და მეორე – ეზრუნა ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაზე. ვხედავთ, რომ ყველა ის პრინციპული თემა, რომელიც დემოკრატიას უკავშირდება, პრობლემის წინაშეა, განსაკუთრებით ეხება საარჩევნო კოდექსს. ისევე როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ დროს „ქართული ოცნება“ ტოვებს ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებს. ასევე მეორე ეს არის ბარიერის თემა, მესამე არის დანიშნული სოფლის რწმუნებულები, მათ არ ეყოთ გამბედაობა და არ მიდიან რწმუნებულების არჩევითობაზე და მეოთხე, ეს არის საარჩევნო სიები. მათ კანონში ჯერ კიდევ 6 თვის წინ ჩაწერეს, რომ არჩევნები უნდა ჩატარებულიყო ბიომეტრული პარამეტრებით შემდგარი სიით, თუმცა ეს სია არ იქნება ადგილობრივი არჩევნებისთვის, იმიტომ, რომ ამაზე არავინ მუშაობს. აქედან გამომდინარე, ყველა იმ ინსტიტუტის და ყველა იმ ბერკეტის გამოყენებით, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ იყენებდა, „ქართული ოცნება“ ცდილობს, რომ დიდხანს იყოს ხელისუფლებაში. ეს ბარიერი არის ერთადერთი მიზნით, რომ დომინანტ პარტიას, რომელიც გადის პირველ ადგილზე, ჰქონდეს გარანტირებული შესაძლებლობა გაიმარჯვოს კონკრეტულ არჩევნებში. როგორც ჩანს, „ქართულმა ოცნებამ“ გადაწყვიტა, რომ ყველა გამგებელი და ყველა მერი მისი იყოს, იმიტომ რომ დომინანტი პარტია არის დღეს და მაღალი ალბათობით პირველ ადგილზეც გავა“, – განაცხადა ლევან ვეფხვაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## გორის ბაზარზე პასუხი, მთავრობას ოთხშაბათს ექნება?!



კანცელარიაში გორის აგრარული ბაზრის მოვაჭრეების საინიციატივო ჯგუფი პრემიერ-მინისტრის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრის მონაწილე პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერის, გიორგი ლაღიძის განცხადებით, მთავრობამ მოვაჭრეების მოთხოვნებზე კონკრეტული პასუხის გასაცემად ვადა ოთხშაბათამდე ითხოვა.

„გავიარეთ ყველა ის საკითხი, რომელიც აწუხებთ მოვაჭრეებს. ხელისუფლების წარმომადგენლებმა გვთხოვეს ვადა ზეგ დილამდე, მაქსიმუმ ზეგ დილამდე იქნება კონკრეტული პასუხი, თუ რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული მათი მხრიდან. ჩვენ არ ვაპირებთ მესაკუთრეთა უფლებების დარღვევას, თუმცა ჩვენ მათ განვუცხადეთ, რომ ჩვენი მოთხოვნაა, 6 თვის განმავლობაში ამ ბაზარმა იფუნქციონიროს და ამ პერიოდში, სწორედ, სამართლებრივი ბრძოლა წავა სასამართლოში“, – განაცხადა ლაღიძემ. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# რა შეურაცხყოფა მიაყენა საქართველოს პრეზიდენტს თურქეთის ხელისუფლებამ

თბილისის ანძა ჩამიბნელეს, თურქეთში პრეზიდენტის დელეგაციის წევრი გამილახეს, ჩემი ეროვნული ვალუტა გამიბახეს, პროდუქტები გამიძვირეს, შენ მაინც არ დამიჩლუნგდე, ჩემო კალამო!.. წლებია ვამტკიცებ, რომ ამერიკელ მაიმუნს უფრო მეტი ფასი აქვს, ვიდრე საქართველოს ვიპ-პერსონებს უცხოეთში... ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ თურქეთში პრეზიდენტის ოფიციალურ დელეგაციის წევრს თუ თავს დაესხმებოდნენ, ამას ყველაზე ცუდ სიზმარშიც კი ვერ ვნახავდი... საყვედური პრეზიდენტის პროტოკოლის სამსახურის უფროსს, საყვედური საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საყვედური თურქეთის მთავრობას, საყვედური თურქეთისა და საქართველოს სპეცსამსახურებს (თუ ჩვენ, საერთოდ, ასეთი გვყავს)!.. წესით, დიპლომატიური პროტოკოლის მიხედვით, თუ ჩვენ თურქეთი აღგვიქვამს სუვერენულ ქვეყნად, ოფიციალური ბოდიში უნდა მოიხადოს მინიმუმ თურქეთის საელჩომ, რომ აღარაფერი ვთქვათ თურქეთის პრეზიდენტზე, რომელიც საქართველოს პრეზიდენტს აეროპორტის ტრაპთან არც კი დახვდა.

20 იანვარს საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის თანამშრომელს სოფო ჯაჯანაშვილს თურქეთში თავს დაესხნენ. ინციდენტი სამთავრობო უწყების მოსაცდელში მოხდა. თურქი წარმოშობის უცნობი ქალბატონმა ჯაჯანაშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, თმებში სწვდა და როგორც თურქული პრესა იუწყება, იატაკზე ათრია. სიტუაცია დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა განმუხტეს. როგორც თურქული მედია იუწყება, უცნობი ქალბატონი პრეზიდენტ აბდულა გიულისვის თხოვნის გადასაცემად იყო მისული, მას ფსიქიკური პრობლემები აქვს. ამ დროს რას აკეთებდნენ თურქეთის სპეცსამსახურები, ან რატომ არ მომზადდა სათანადოდ ვიზიტი ისე, რომ მსგავსი ინციდენტები არიდებული ყოფილიყო და საერთოდ, პრეზიდენტი პრეზიდენტს ტრაპთან დახვედროდა. კარგი იქნება, თუ ამ კითხვებზე პასუხს გაგვცემენ შესაბამისი უწყების თანამშრომლები. ასევე ჩნდება კითხვები, რატომ არჩია საქართველომ, რომ ახალი პრეზიდენტის პირველი ვიზიტი თურქეთში დაეგეგმა, ვილნიუსის სამიტის შემდეგ, როცა ჩვენი უმთავრესი სტრატეგიული პარტნიორები აშშ და ევროპა არიან.

პრეზიდენტის პირველი ოფიციალური ვიზიტი სკანდალით დაიწყო, ეს კარგის მომასწავებელია თუ ცუდის, ამის გარკვევას შევეცდებით პოლიტოლოგ სოსო ცინცაძესთან ერთად, რომელიც მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის პრესსამსახურზე თავდასხმა არ არის პოლიტიკის ნაწილი, ეს არის სპეცსამსახურების ცუდი მუშაობის შედეგი. როცა სააკაშვილი დაფრინავდა უცხოეთში ვიზიტებით და დაცვის სამსახური გაცილებით ძლიერი და მობილიზებული იყო. მსგავსი სკანდალი მაშინ არ მომხდარა, მაგრამ თურქეთის მხარე მაშინაც თავხედურად იქცეოდა. სოსო ცინცაძე აქვე იხსენებს ერთ კონკრეტულ მაგალითს, რომლის თვითმხილველიც თვითონ აღმოჩნდა. ბათუმში ვიზიტით ჩამოსული იყო თურქეთის პრემიერ-მინისტრი ერდოღანი, ის ახალი სასტუმროს გახსნის პრეზენტაციაზე მოვიდა, ლიფტში შევიდა ერდოღანი, მას შეჰყვა სააკაშვილი და შევიდა მხოლოდ ერდოღანის დაცვა. ერდოღანის დაცვამ ლიფტში სააკაშვილის დაცვა არ შეუშვა, ლიფტის კარი ცხვირწინ მიუხურეს და სააკაშვილის დაცვის წევრები თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ კიბეებით მე-14 სართულზე.

როგორც სოციალური ქსელიდან ირკვევა, მარგველაშვილი თურქეთში ჩაფრინდა მიხეილ სააკაშვილის ნაქონი საპრეზიდენტო ბორტით, სახელად „ლაზიკა“, რასაც მოჰყვა კომენტარები, რომ მოქმედი პრეზიდენტი ექსპრეზიდენტის პომპეზურ თვითმფრინავს იყენებს. პომპეზური თვითმფრინავისა და ფრენის მიუხედავად, როგორც გითხარით, მას ტრაპთან არ დახვდა თურქეთის პრეზიდენტი, რაც უკვე დიდი პოლიტიკის ნაწილია. პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ამ ფაქტს ასე ხსნის: „პროტოკოლით დეტალები უნდა იყოს გაწერილი. პროტოკოლის მიხედვით, როცა მაღალი რანგის სტუმარი იწყებს თვითმფრინავიდან ჩამოსვლას, აეროპორტის შენობიდან იწყებს სვლას დამხვედრი მხარე. ახლო წარსულიდან ერთ საინტერესო ფაქტს მოგიყვანთ: რუსეთში ჩამოვიდა სირიის პრეზიდენტის ბაშარ ალ ასადის მამა, აეროპორტიდან დამხვედრმა მხარემ სვლა არ დაიწყო, ერთმანეთი დიდი ხნის უნახავი ჰყავდათ და საუბარში შეყვნენ... ხაფეზმა დაიწყო ტრაპზე ჩამოსვლა, როგორც კი ნახა, რომ დელეგაცია იქიდან არ დაიძრა, მიბრუნდა თვითმფრინავის ბორტზე. ზუსტად 2 საათის მანძილზე იჯდა და არ გამოვიდა, ბოდიშების მიუხედავად. ეს ამბავი მომიყვა კრემლის ნომერ პირველმა თარჯიმანმა ვიქტორ სუხადროვმა. ხაფეზმაც კი ახდევინათ ბოდიშები, რომელიც რუსეთში იარაღის სამათხოვროდ ჩადიოდა, აქ სახელმწიფოს ღირსების საკითხი დგას და არა პიროვნების. რა ფუნქციის მატარებელიც არის თურქეთის პრეზიდენტი, იგივე ფუნქციის მატარებელია საქართველოს პრეზიდენტი, ორივე უფლებაშეზღუდულია. ის, რომ პრეზიდენტს პრეზიდენტი არ დახვდა, ეს არის ქვეყნის უპატივცემულობა“...

შეგახსენებთ, რომ საგარეო ურთიერთობები პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ჩაბარებული აქვს მიხეილ მაჭავარიანის ძმას, ესეც ერთგვარი კაზუსია, როგორ შეიძლება ერთი ძმა იყოს „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი და მეორე, საქართველოს პრეზიდენტის წამყვანი ფიგურა? ოპოზიციისთვის ყბადაღებული თემა იყო და დღემდე რჩება ძმები კუბლაშვილების საკითხი, თუმცა ორივე მათგანი ერთ პარტიას ემსახურებოდა. გასაკვირი ისაა, რატომ არ აპროტესტებს „ოცნების“ ხელისუფლება „ნაცმოძრაობიდან“ დესანტად ჩასმულ მაჭავარიანის ძმის საკითხს?!. როგორც ჩანს, ვანო მაჭავარიანი არც ისეთი პროფესიონალია. ამას ასე განმარტავს პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე: „ვანო მაჭავარიანი, ეს არის ქართველი ტალეირანი (რა თქმა უნდა, იუმორით), მაგრამ მარგველაშვილსა და ხელისუფლებას იქ ბისმარკებიც ჰყავს, რასაკვირველია, ისინი მოძებნიან ამ ფაქტის ლამაზ ახსნას, პირს მოწმენდენ თურქულ მხარეს, თუმცა უფრო მნიშვნელოვანი საკითხია, რატომ აირჩია პრეზიდენტმა ოფიციალურ ვიზიტად თურქეთი. ეს მარტო ქართველებს კი არა, სხვებსაც აინტერესებთ, ამ თემას აზერბაიჯანულმა პრესამ რამდენიმე დიდი სტატია მიუძღვნა ასეთი შინაარსით – რატომ არჩია მან თურქეთი და არა აზერბაიჯანი?! აზერბაიჯანელი ექსპერტები ამას ასე ხსნიან,



*გაგრძელება მეოთხე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პრეზიდენტმა პარლამენტს ანგარიში უნდა ჩააბაროს



საქართველოს პრეზიდენტმა თებერვლის დასაწყისში პარლამენტს ანგარიში უნდა ჩააბაროს. ყოველწლიური ანგარიშით პარლამენტში მისვლას პრეზიდენტს კონსტიტუცია ავალდებულებს. პრეზიდენტის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მისვლის საკითხს პარლამენტის რეგლამენტი აზუსტებს და ამბობს, რომ პარლამენტი, როგორც წესი, საგაზაფხულო სესიის პლენარული სხდომების პირველ დღეს, კონსტიტუციის შესაბამისად, ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე პრეზიდენტის ყოველწლიურ მოხსენებას ისმენს.

პარლამენტის საგაზაფხულო სესია თებერვლის პირველ სამშაბათს იხსნება. ეს დღე 4 თებერვალია.

2012 წლის მოწვევის პარლამენტს პრეზიდენტისთვის არ მოუსმენია. მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტობის ბოლო წელი ისე დაასრულა, რომ პარლამენტის წინაშე მოხსენებით არ წარმდგარა. მაშინ პრეზიდენტის მოსმენის საკითხი პოლიტიკური გარიგებებისა და სერიოზული ვნებათაღელვის საგნად იქცა. კერძოდ, გასულ წელს პარლამენტს პრეზიდენტისთვის 8 თებერვალს უნდა მოესმინა, თუმცა უმრავლესობამ მიხეილ სააკაშვილის მიღებაზე უარი განაცხადა და მას ერთგვარი ულტიმატუმიც წაუყენა – უმრავლესობაში აცხადებდნენ, რომ პრეზიდენტს მაშინ მოუსმენდნენ, თუკი უმცირესობა მხარს იმ საკონსტიტუციო ცვლილებებს დაუჭერდა, რომელიც მთავრობის დათხოვნის მიმართულებით პრეზიდენტის უფლებამოსილების შეკვეცას ითვალისწინებდა.

ამის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტის ნაცვლად ეროვნულ ბიბლიოთეკაში მისვლა დაგეგმა, სადაც ეს პროცესი ცნობილი დაპირისპირებით დასრულდა. (ინტერპრესნიუსი)

## ჯუმბერ ლომინაძე გარდაიცვალა



83 წლის ასაკში აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე გარდაიცვალა. ოჯახის ინფორმაციით, დაკრძალვა ხუთშაბათს გაიმართება. მას სიონის ტაძრიდან გამოასვენებენ.

ჯუმბერ ლომინაძე 1930 წლის 20 სექტემბერს დაიბადა. 1974 წელს ის – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, 1982 წელს – პროფესორი, 1979 წელს – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 1988 წელს კი აკადემიკოსი გახდა. 1997-2003 წლებში იყო საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, 2003-2006 წლებში კი საქართველოს კოსმოსური სააგენტოს თავმჯდომარე. 2006 წლიდან ბოლო დღემდე გეოფიზიკის ინსტიტუტის კოსმოსური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობა ეკავა.

ჯუმბერ ლომინაძე 250-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი იყო, მათ შორის მონოგრაფიის.

2000 წელს მიენიჭა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი, ხოლო 2002 წელს საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. (ინტერპრესნიუსი)



# რა შეცდომა დაუშვა ქართულმა სპეცსამსახურმა

*მესამე გვერდიდან*

რომ გადასაწყვეტია, მაგალითად, რკინიგზის თემა – ყარსი-ახალქალაქის მიმართულებით და ამიტომაც ვერ მოხერხდა პირველი ვიზიტი აზერბაიჯანშიო. ისმის ასევე კითხვა, – რატომ არ წავიდა პრეზიდენტი პირველი ოფიციალური ვიზიტით ევროპაში? როგორც ჩანს, ევროპელებმა თვითონ არ დაპატიჟეს. დღეს ევროპას ნაკლებად აინტერესებს მარგველაშვილი. ევროპელი ლიდერები დროს არ დაკარგავენ მარგველაშვილთან ვიზიტის მომზადებაზე, რადგან ზუსტად იციან, რომ ის გადაწყვეტილების მიმღები არ არის, ბოლოს და ბოლოს, სადღაც ხომ უნდა წასულიყო?.. ამხელა ხელფასს იღებს, პრეზიდენტი ჰქვია, მერე რა, რომ ერთი კაცის დანიშნულია?.. მე მაინც მრჩება შთაბეჭდილება, რომ ვიზიტი ცუდად იყო მომზადებული. საერთოდაც მინდა გითხრათ, რომ ჩვენ მოვახდინეთ სტრატეგიული პარტნიორის, როგორც ცნების დეფოლტი, ძველი რომიდან მოყოლებული სტრატეგიული პარტნიორი არის სახელმწიფო, რომელიც შენი გულისთვის იომებს. აფხაზეთის ომის შემდეგ, აფხაზეთის ომში გამძაფრებული ინტენსივობით შედიოდნენ თურქული გემები, მაშინაც კი, როცა იყო მცდელობა, რომ აფხაზეთი ეკონომიკურ იზოლაციაში მოექციათ, მაშინაც კი თურქეთმა ანგარიში არ გაუწია საქართველოს. ცხადია, თურქეთი ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანაა და საქართველო, როგორც პარტნიორი ამ კუთხით ესაჭიროება, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ თურქეთი, რომელმაც დაიპყრო ნახევარი აჭარა და ტოტალური გათურქება მიდის, ის არ შეიძლება ჩაითვალოს კეთილსინდისიერად პარტნიორად და უფრო გულსატკენია, როცა მსგავსი ინციდენტებით იწყება პრეზიდენტის პირველი ოფიციალური ვიზიტი.

სოსო ცინცაძე იხსენებს, თუ როგორ შედიოდა მართლაც აფხაზეთის ომის შემდეგ თურქული გემები აფხაზეთში, რომელ სტრატეგიულ პარტნიორობაზეა ლაპარაკი?.. თურქულ გემებს აფხაზეთიდან მიაქვთ ქვანახშირი, ამარაგებენ სურსათით. არის ინფორმაცია, რომ ომის დროს შეჰქონდათ იარაღი. ოფიციალური მონაცემებით, 25 ათასი თურქია ბათუმში ჩამოსული, არაოფიციალურად, აჭარა, ბათუმი უფრო ბორდელად აქვთ გადაქცეული. ბოლოს და ბოლოს, თავმოყვარეობის საკითხია. თავის დროზე კუბა იყო ამერიკელების ბორდელი, ფიდელ კასტრომ ამიტომაც მოახდინა ადვილად რევოლუცია, რადგან კუბელებს ყელში ამოუვიდათ ამერიკელების „გრიალი" და ჩვენ როდემდე უნდა ვუყუროთ, თუ როგორ რყვნიან ქვეყანას და როგორ გადააქციეს ბორდელად აჭარა. წადით და ნახეთ, როგორ იქცევიან ბათუმში თურქები. თავმოყვარე ქვეყნის პრეზიდენტი პირველ ვიზიტს თურქეთში არ განახორციელებდა. მე, როცა კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი მარგველაშვილის, ჟურნალისტები ამ კანდიდატურასთან დაკავშირებით, დიდ დისკომფორტს არ განიცდიდნენ. მაშინ ჩემი მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ მიუხედავად კარგი განათლებისა და კარგი ადამიანური ფაქტორებისა, ის არის პიროვნულად სუსტი. წარმოიდგინეთ, როდესაც თანამდებობაც კონსტიტუციურად სუსტია და პიროვნებაც სუსტი, ეს იწვევს დისბალანსს. ასეთი საპრეზიდენტო მოდელის პირობებში ჩვენ პიროვნულად სუსტი პრეზიდენტი არ უნდა აგვერჩია, პირველ საპრეზიდენტო ვადაში მაინც. ამან გამოიწვია გავლენის კატასტროფული ვარდნა, ადამიანები პარალელს ავლებდნენ სააკაშვილთან, მოსახლეობა ვერ ეგუება პიროვნულად სუსტ პრეზიდენტს. მიუხედავად იმისა, რომ პრემიერი ჯენტლმენურად იქცევა და მას აქვს სურვილი დროდადრო გამოჩნდეს პრეზიდენტი. საქმე ის არის, რომ პრეზიდენტის გამოჩენას თავისი პეწი უნდა ჰქონდეს. მე აქ ვხედავ პროტოკოლის სამსახურის მინუსს, ვიზიტი არ იყო მომზადებული, საერთოდაც, ჩვენ არ გვაქვს ტრადიცია ვიზიტების მაღალ დონეზე მომზადების. შეგახსენებთ, ბიძინა ივანიშვილის პირველ ვიზიტს ევროპაში, როცა მას საქართველოს ელჩიც კი არ დახვდა, ეს იმიტომ, რომ ვიზიტი არ იყო სათანადოდ მომზადებული. როცა საქართველოს საგარეო მინისტრი საჯაროდ აცხადებს, რომ აუცილებელი არ არის დიპლომატიური განათლება ელჩისთვის, ჩვენ ხომ ვიცით რატომაც ამბობს ამას, იმიტომ, რომ თვითონ მას არ აქვს დიპლომატიური განათლება. ამის შემდეგ, დიპლომატიის რა მაღალ კლასზეა საუბარი?.. საგარეო საქმეთა მინისტრი პროვინციული სკოლის მასწავლებელი იყო. ასე რომ, მოშლილია დიპლომატიური სკოლა და ტრადიცია.



მსოფლიოში ყველა დიდ მნიშვნელობას აქცევს პრეზიდენტის პირველ ვიზიტს და ცდილობენ, ძალიან მაღალი რანგის ვიზიტი განახორციელონ პროფესიონალურ დონეზე. ვილნიუსში მარგველაშვილი, როგორც პრეზიდენტი, ასე არ ჩასულა, არამედ ის ჩავიდა ხელის მოსაწერად ევროპასთან ასოცირების პარაფირების დოკუმენტზე, შესაბამისად, აქცენტი უნდა გაკეთებულიყო ევროპაზე – საფრანგეთზე, ან გერმანიაზე, მით უმეტეს, მთელი სიმძიმე ჩვენი დიპლომატიური აქტივობის გადატანილი უნდა იყოს საფრანგეთსა და გერმანიაზე, რადგან სექტემბრის სამიტზე გადამწყვეტი იქნება ბერლინისა და პარიზის პოზიცია. დიდი ალბათობით ჩვენ უკვე ვიცით, როგორი იქნება ეს პოზიცია. ჩვენ ახლა უნდა ვეცადოთ, პოზიციები შევაცვლევინოთ ჩვენს სასარგებლოდ, მაგრამ გეკითხებით, ვინ არის ამის გამკეთებელი, გეკითხებით... არასამთავრობო სექტორიდან პარიზში ელჩად წასული?..

მოკლედ, რაც მოხდა პრეზიდენტის ამ ვიზიტისას, ამის გამო ბოდიში უნდა მოიხადოს თურქეთის მხარემ და პრეზიდენტმა მარგველაშვილმა არ უნდა ითავმდაბლოს, რომ ქვეყნის პრესტიჟი შეილახოს. თავმდაბლობა ამშვენებს გაზონებს და არა პრეზიდენტებს.

**ნინო სამხარაძე**

599 71-14-22

**ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...**

## კახეთში 112 მილიონზე მეტი დაიხარჯება



კახეთში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 112 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ცნობით, მინისტრმა დავით ნარმანიამ კახეთის გუბერნატორ ირაკლი შიოლაშვილთან და მხარის გამგებლებსა და საკრებულოს თავმჯდომარეებთან შეხვედრაზე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ინფორმაცია მიაწოდა იმ ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ, რომლის განხორციელებასაც სამინისტრო 2014 წელს რეგიონში გეგმავს.

ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებად 2014 წელსაც საავტომობილო გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია რჩება. ამისთვის სამინისტრო, საავტომობილო გზების დეპარტამენტთან ერთად, 26 მილიონ ლარზე მეტის დახარჯვას აპირებს. გაგრძელდება წნორი-დედოფლისწყარო-ქვემო ქედის, ულიანოვკა-ბოდბე-გამარჯვების, თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის გზების რეაბილიტაცია. დაიწყება თუშეთის გზის უსაფრთხოების ღონისძიებები, აგრეთვე, ფშაველი-აბანო-ომალოს, თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის, ახმეტა-თელავი ბაკურციხისა და სხვა საავტომობილო მონაკვეთების რეაბილიტაცია.

გარდა ამისა, 2014 წელს მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა წყალმომარაგების საკითხების მოგვარებას, რომლისთვისაც 19 მილიონ ლარამდეა გამოყოფილი. მიმდინარე წელს მოხდება თელავის, გურჯაანის, სიღნაღის, ახმეტის, ლაგოდეხის, ყვარლის, საგარეჯოს, თელავი-კურდღელაურისა და წნორის წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

ჩატარდება მდინარე ალაზნის შესართავთან, მდინარე კაპარჩაის კალაპოტის ნაპირსამაგრი სამუშაოები. ნაპირგამაგრება მოხდება, ასევე, გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფელ კარდენახში მდინარე მლვრიეხევზე. გამაგრდება, ასევე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გურგენიანში მდინარე ჭვარტლისხევის სანაპირო ზოლიც. ნაპირსამაგრი სამუშაოები ჩატარდება, აგრეთვე, სიღნაღის მუნიციპალიტეტის წნორი-ბოდბისხევის მონაკვეთზე.

მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას საგარეჯოსა და თელავის ნაგავსაყრელების კეთილმოწყობა აქვს დაგეგმილი. აგრეთვე, ექსპლუატაციაში შევა გურჯაანის, ყვარლის, სიღნაღის, ლაგოდეხისა და დედოფლისწყაროს ნაგავსაყრელები. დაგეგმილია ამ ნაგავსაყრელების პოლიგონების შემოღობვაც.

გარდა ამ სამუშაოებისა, დაგეგმილია კახეთის კულტურული მემკვიდრეობის ზონის რეაბილიტაცია და ტურისტული ზონის მოწყობაც. ჯამში, კახეთში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 112 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება. (ინტერპრესნიუსი)

## რეაგირება მწვავე იქნება

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, მაია ფანჯიკიძის განცხადებით, ოკუპირებული აფხაზეთის სიღრმეში რუსეთის სასაზღვრო ზონის გადმოწევა თუ სოჭის ოლიმპიადის შემდეგაც შენარჩუნდა, ქართული მხარის რეაგირება იქნება ძალიან მწვავე.

„შემდეგი რაუნდი ჟენევის მოლაპარაკებების იქნება სოჭის ოლიმპიადის შემდეგ და შესაბამისად, თუ ეს შენარჩუნდა, მაშინ ჩვენი რეაქცია, რასაკვირველია, იქნება ძალიან მწვავე. ის ახლაც მწვავეა, რადგანაც, ნებისმიერი ასეთი სახის დარღვევა არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და შესაბამისად, მასზე საჭიროა მკაცრი რეაგირება", – განაცხადა ფანჯიკიძემ. (ინტერპრესნიუსი)



ბა. წინა, 29 დეკემბრის სხდომაზე უმრავლესობამ წარადგინა სარევიზიო კომისიის შეფასებები და აქ ზოგიერთი იყო სრულიად უაზრო და აბსურდული შენიშვნა. მაგალითად, თურმე, რატომ უნდა გაკეთდეს თბილისის ახლად შემოერთებული ტერიტორიებზე წყლის სისტემები. ეს საკითხი ეხება დაახლოებით 10 000-მდე ოჯახს და ამის განხორციელება შესაძლებელი იყო. ასევე, გამგეობებს აქვთ სოციალური დახმარების მუხლები და შესაძლოა, ეს გამოყენებული იყოს პარტიული ნიშნითო, რასაც

– ცოტა შორიდან დავიწყებ პასუხს. საერთოდ, 1-ლი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მოხდა სხვადასხვა მეთოდებით ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობიდან" ადამიანების გადაყვანა „ქართული ოცნების" გუნდში, შესაბამისად, ჩვენთან ახალი ხელმძღვანელობაა, ირაკლი შიხიაშვილის ხელმძღვანელობით. როცა საუბარი მიდის, რომ არის ზეწოლა და მერე უცებ რომელიმე ჩვენი წევრი ამბობს, რომ პოლიტიკური შეხედულების გამო გადავედი უმრავლესობის მხარესო, აქ ჩნდება კითხვის ნიშნები, რა-

მხოლოდ და მხოლოდ. დაშლა უნდათ იმიტომ, რომ უნდათ, ფედერალური მმართველობა შემოიღონ. რა მოვლენებიც ამ ბოლო დროს საკრებულოში ვითარდება, მხოლოდ ამას მაფიქრებს, მეტს არაფერს. გარდა ამისა, როცა უმრავლესობა ადგენს ბიუჯეტს, იმის ნაცვლად, რომ ამაზე იყოს მუშაობა, ამ დროს საკრებულოს ხელმძღვანელი, შიხიაშვილი მიდის საზღვარგარეთ მივლინებაში ერთკვირიანი ვიზიტით. ამ დროს პრიორიტეტული არ იყო ბიუჯეტი?

**— თუ არ დამტკიცდა ბიუჯეტი, რა პრობლემებს უნდა**

# ვინ ატყუებს და აზარალებს ხალხს

## მერია თუ საკრებულო?

დედაქალაქის შესწორებული ბიუჯეტის პროექტი მერიამ საკრებულოს 20 იანვარს წარუდგინა. როგორც უმცირესობის წევრები აცხადებენ, წარმოდგენილი დოკუმენტი მაქსიმალურად ოპტიმალური იყო და იმედი ჰქონდათ, რომ საკრებულო ამ ვარიანტს თვის ბოლოს დაამტკიცებდა, მაგრამ ვერ მიართვეს! შეგახსენებთ, რომ 2014 წლის თბილისის ბიუჯეტი მერიამ 2013 წლის დეკემბერში წარადგინა და ის 730 მილიონი ლარს შეადგენდა, მაგრამ უმრავლესობის გადაწყვეტილების გამო მაშინ პროექტი ჩავარდა. მიზეზი – რამდენიმე მუხლი გაუმჭვირვალე და გაუგებარია, სინამდვილეში თქვენ ამ ფულების ხარჯვა ისევ „ნაციონალური" ინტერესებიდან გამომდინარე გინდათო, – ასეთი იყო საკრებულოს უმრავლესობის ვერდიქტი. ამაზე თავის დროზე მერია აყაყანდა, გვჩაგრავენ, მაგრამ არა უშავს, შევასწორებთ ანგარიშსო და, სავარაუდოდ, თითი თითზე რომ არ დაუკარებია, საკრებულოს 20 იანვარს ისევ ის ბიუჯეტი წარუდგინა ხელახალი განხილვისთვის. მეორეჯერაც უარი სტკიცეს თუ არა, ახლა სევდია უგრეხელიძემ იყვირა: არიქა, ბიუჯეტი ყურით მოთრეული მიზეზებით დაიწუნეს, რადგან მთავრობას სურს, საკრებულო დაითხოვოს, ხელში ჩაიგდოს ადგილობრივი თვითმმართველობა და თავის ნებაზე ჩაატაროს არჩევნებიო. ისე, მოდით, ზოგი მგლისკენაც ვთქვათ: იმ შემთხვევაში, თუ დედაქალაქის ბიუჯეტი 10 მარტამდე სამჯერ ვერ დამტკიცდება, კანონის მიხედვით, საკრებულოს მთავრობის მეთაური დაითხოვს და უფლება აქვს, თავად დანიშნოს მერის მოვალეობის შემსრულებელი, რომელიც არჩეულ გუნდთან ერთად დაიწყებს ქალაქის მართვას.

კონკრეტულად რა მიზეზების გამო მოხდა ბიუჯეტის დაწუნება? რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ დათქმულ ვადამდე არ მოხდება ბიუჯეტის დამტკიცება?

**„ალია" კომენტარისთვის საკრებულოს „ნაციონალური" ფრთისა და უმრავლესობის წარმომადგენლებს დაუკავშირდა.**

**თემურ გრიგალაშვილი, „ნაცმოძრაობა":**

– რასაც ახლა გეტყვით, ჩემი სუბიექტური აზრი იქნება ჩვენ არ ვეთანხმებით. ზოგადად, იყო ის შენიშვნები, რასაც ადგილზევე პასუხი გაეცა, მაგრამ საბოლოო ჯამში უკვე უმრავლესობას აღარ ჰქონდა აღარანაირი არგუმენტი, მაგრამ ხდებოდა ის, რასაც ჰქვია, ხმას არ ვაძლევთ პროექტს, იმიტომ, რომ არ ვაძლევთ. გარდა ამისა, ჩვენ



ვფიქრობთ, რომ პასუხისმგებლობის ამბავიცაა, რადგანაც ყველაფერს თავი რომ გავანებოთ, ბიუჯეტი ითვალისწინებს ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარებას და უფრო დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ საკრებულოს წევრები მის დამტკიცებას.

**— თქვენი თანაპარტიელები ამბობენ, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ უმრავლესობამ დაშალოს საკრებულოო. თქვენი აზრით, მათ რაში აწყობთ დაშლა?**

– მე ჩემი სუბიექტური აზრი მოგახსენეთ, რაც შეეხება ბიუჯეტს, დარწმუნებული ვარ, უმრავლესობის აზრია, რომ არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე მერიაში თვითონ ჩაიბარონ მართვის სადავეები. ანუ, ეს ყველაფერი ემსახურება ისევ სკამების დაკავებას ტომ შეიცვალა ერთ დღეში აზრი?

**— რა ზეწოლა? რა კითხვის ნიშნები? თუ არ მინდა, არ გადავალ და მორჩენილია საქმე. ეს შეკითხვა დაგესვათ მათთვის თავის დროზე...**

**ელოდოს თბილისი?**

– უმრავლესობა როცა საუბრობს, რომ დედაქალაქს თვეში აქვს ბიუჯეტის 1/12-დი, ეს არისო 60 მილიონი, ეს არასწორია. შარშან, დეკემბერში საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სოციალურად დაუცველი მოქალაქეები შეღავათებით ისარგებლებდნენ სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობისას და ამას დასჭირდებოდა 300

*გაგრძელება მეექვსე გვერდზე*

## „ტვიტერზე" პრეზიდენტის გვერდი გაიხსნა




სოციალურ ქსელ „ტვიტერზე" საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური გვერდი გაიხსნა. გვერდზე პირველი ჩანაწერი თავად პრეზიდენტმა გააკეთა და „ტვიტერის" მომხმარებლებს სიახლის შესახებ ამცნო.

„მოხარული ვარ, გაცნობოთ, რომ დღეიდან მე შემოგიერთდით „ტვიტერზე", – წერს მარგველაშვილი.

საქართველოს პრეზიდენტის გვერდზე მითითებულია, რომ ის 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე, ხმათა 62%-ით იქნა არჩეული. (ინტერპრესნიუსი)

## თიბილოვმა ე.წ. მთავრობა დაითხოვა



სამხრეთ ოსეთის ე.წ. პრეზიდენტმა, ლეონიდ თიბილოვმა ე.წ. მინისტრთა კაბინეტი სრულად დაითხოვა. რუსული მედიის ინფორმაციით, ეს გადაწყვეტილება თიბილოვმა მინისტრთა კაბინეტის წევრებთან შეხვედრაზე გაახმაურა, მიზეზად კი მთავრობის მუშაობით უკმაყოფილება დაასახელა.

როგორც ე.წ. პრეზიდენტმა აღნიშნა, მთავრობამ ვერ შეძლო მის წინაშე დაკისრებული მოვალეობების შესრულება, რომელიც ძირითადად სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ეხებოდა.

თიბილოვმა ე.წ. პრემიერ-მინისტრის მოვალეობის დროებით შემსრულებლად დომენტი კულუმბეგოვი დანიშნა, რომელიც აქამდე ე.წ. ვიცე-პრემიერის პოსტს იკავებდა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ალასანიამ აშშ-ის სენატის მრჩეველთა ჯგუფები მიიღო



საქართველოში ოფიციალური ვიზიტით კონგრესის წარმომადგენელთა დელეგაცია იმყოფება. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობებისა და წარმომადგენელთა პალატის სამხედრო კომიტეტების მრჩეველთა ჯგუფები თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ და მისმა მოადგილემ მიხეილ დარჩიაშვილმა მიიღეს. შეხვედრაზე მინისტრმა სტუმრებს თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ სენატის მიერ შემუშავებული რეზოლუცია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებას.

„დღევანდელი შეხვედრები კონგრესის წარმომადგენლებთან არის უმნიშვნელოვანესი, იმიტომ, რომ ეს საჯარო მოხელეები გადაწყვეტილებებს ამზადებენ კონგრესში. ვისაუბრეთ ორმხრივი ურთიერთობების თითქმის მთელ სპექტრზე. განსაკუთრებით, თავდაცვითი შეიარაღებისა და საშუალებების გაზრდაზე, ამერიკის შეერთებული შტატების როლზე, ჩვენი თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაზე, კონკრეტულ გადაწყვეტილებებზე, რაც საქართველოს მისცემს საშუალებას, ჰყავდეს არმია, რომელსაც ექნება შემაკავებლის ფუნქცია. ასევე, ვილაპარაკეთ ჩვენს ნატო-ში გაწევრიანებაზე, წლევანდელი წლის ნატო-ს სამიტზე, სადაც ამერიკის შეერთებულ შტატებს ექნება უპირობო მხარდამჭერი პოზიცია საქართველოს სამომავლო გაწევრიანების და იმ ინსტრუმენტების მიღების, რომელიც საქართველოს დაეხმარება სრულფასოვან ინტეგრაციაში", – აღნიშნა ალასანიამ. (ინტერპრესნიუსი)

## შიხიაშვილი ჩინეთის ელჩს შეხვდა



თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში იუე ბინს შეხვდა.

საკრებულოს ცნობით, შიხიაშვილმა ელჩს ჩინეთში ვიზიტის ანგარიში წარუდგინა.

„ელჩთან შეხვედრაზე განიხილეს ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების ისეთი საკითხები, როგორიცაა ეკონომიკა, ორმხრივი ვაჭრობა, კულტურა, მეცნიერება, სპორტი, ტურიზმი და ა.შ. მხარეებმა საქართველოში ჩინური ენის პოპულარიზაციასა და განვითარებისთვის ხელშემწყობ ღონისძიებებზე ისაუბრეს. დაიგეგმა გუანჯოუს დღეები საქართველოს დედაქალაქში, რაც, გარდა ენის პოპულარიზაციისა, ჩინური კულტურის მეტად გაცნობასა და ხალხთაშორისი ურთიერთობების გაღრმავებას შეუწყობს ხელს", – აცხადებენ საკრებულოში.

შეხვედრაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ შემოდგომაზე ჩინეთიდან თბილისში მსხვილი და საშუალო კომპანიების, სახელმწიფო და კერძო სექტორის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები ჩამოვლენ, რომლებიც თავიანთი საქმიანობის მიმართულებებით – ეკონომიკურ, სპორტულ, კულტურულ და სხვა სფეროებში შეხვედრებს გამართავენ. (ინტერპრესნიუსი)

## მარგველაშვილი თურქეთის პრემიერს შეხვდა



საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი თურქეთის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში თურქეთის პრემიერ-მინისტრს რეჯეფ თაიფ ერდოღანს შეხვდა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, მხარეებმა საქართველო-თურქეთის, როგორც საიმედო და სტრატეგიული პარტნიორების ურთიერთობა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს.

„საუბრისას აღინიშნა, რომ თურქეთი საქართველოს ნომერი პირველი სავაჭრო პარტნიორია და ქართული მხარისთვის პრიორიტეტული და მნიშვნელოვანია როგორც მეტი ხელმისაწვდომობა თურქულ ბაზარზე, ისე ტექნიკური ბარიერების აღმოფხვრა ქართული პროდუქციის ექსპორტისთვის“, – აცხადებენ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში.

მათივე ცნობით, ამის გარდა, საუბარი შეეხო იმ მნიშვნელოვან პროექტებს, რომლებსაც ორი ქვეყანა ერთობლივად ახორციელებს, მათ შორის ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით.

„შეხვედრა გაფართოებული შემადგენლობით სამუშაო სადილის ფორმატით თურქეთის პრემიერის რეზიდენციაში გაიმართა, რომლის დასრულების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი თურქეთის დიდ ეროვნულ მეჯლისში გაემართა, სადაც ეროვნული მეჯლისის თავმჯდომარეს ჯემილ ჩიჩეკს შეხვდა“, – აღნიშნავენ ადმინისტრაციაში.

(ინტერპრესნიუსი)



# ვინ გადაარჩინა სიკვდილს მინისტრმა ნარმანიამ?



მეხუთე გვერდიდან

000 ლარი, იანვარში დავხარჯეთ ამ თანხის 1/12-დი და ეს არ ჰყოფნის პროგრამას, ამიტომ თებერვლიდან ამ პროექტს უკვე პრობლემა ექნება. ასეთი მაგალითი ბევრი შემიძლია ვთქვა. სამწუხაროდ, ბიუჯეტის პროექტს იწუნებდნენ ადამიანები, რომლებმაც ისიც კი არ იციან, რომ დღეს მერიაში ტენდერები ელექტრონული წესით ტარდება და არა დალუქული კონვერტებით.

**ჯაბა სამუშია,** ფრაქცია „ქართული ოცნება“:

– სევდია უგრეხელიძე და „ნაციონალური მოძრაობა“ ცრუობენ. 2013 წლის 10 დეკემბერს თბილისის საკრებულოში შემოვიდა ბიუჯეტი, რომელიც იყო 730 მილიონი ლარი. მაშინ როცა იმავე თვის 29 დეკემბერს საკრებულოს სხდომაზე განხილვის საგნად თბილისის მთავრობამ და მერიამ წარმოადგინა ბიუჯეტი, რომლის მთლიანი მოცულობა იყო 785 მილიონი. საკრებულოს არ განუხილავს ეს ბოლო ბიუჯეტი, რადგანაც ეს არის არაცივილიზებული მიდგომა საკრებულოს მიმართ და საერთოდ, თბილისის მიმართ. წარმოიდგინეთ, მაგიდაზე გვედო ბიუჯეტი სხვა ციფრით და დანართზე, ერთ ფურცელზე კი გაწერილი იყო დამატებით 55 მილიონი, ისე, რომ სად უნდა წასულიყო ეს ფული, რას უნდა მოხმარებოდა, კაცმა არ იცის.

**— რა გათვლა იყო საკრებულოში ისეთი, რომ ამას ვერ შეამჩნევდით?**

– წლების მანძილზე ასე მტკიცდებოდა ბიუჯეტი, ზუსტად 15 წუთში. მაშინ რა განხილვებზე და დებატებზე იყო საუბარი? ჩვენ ვეუბნებით, აღარ გვინდა, რა, ეს ძველი მიდგომა. მოდით, ვიმსჯელოთ. მაგათ წარმოდგენილ ბიუჯეტში არის მუხლები, რაც მაეჭვებს. ჩვენ გვაქვს უამრავი შეკითხვა, პოლიტიკურიც და ეკონომიკურიც. საქმე ისაა, რომ მერიაში არიან ისეთი ადამიანები, ვისაც ძნელად ანდობ ამ ფულს. ესენი არიან უგულავას გუნდელები, ვისაც ეხება 55 მილიონის დაკარგვა. ასევე, არსებობს რამდენიმე მუხლი, რაც აბსოლუტურად აბსურდულია (ისმის, ვილაც მამაკაცი ანძაზე ელაპარაკება).

**— კერძოდ?**

– მაგალითად, ახლა მითხრეს, რომ ამ წუთებში გამოვიდა სევდია უგრეხელიძე და განაცხადა, თურმე ფული არ გვყოფნის და ანძა უნდა ჩავაქროთ. ეს წამია, გამოვიდა და ესაა საბოტაჟი. ამ ანძაზე ხარჯებში ჩანს გადასახადი და რატომ აქრობენ? მესმის, რომ ამ ბიუჯეტით ავტობუსების 100-მილიონიან ტენდერს ვერ ჩაატარებ, რადგანაც გაგვიჩნდა კითხვები და ეს ტენდერი ვინც ჩაატარა, იმათი საქმე დღეს პროკურატურაშია. 900 000 ლარია გამოყოფილი თბილისის ტურიზმის განვითარებაზე, სხვა მუხლებშიც იგივე წერია და იგივე თანხები სხვა მიმართულებითაც არის მიმართული. თუ გვაქვს ეს თანხა, უბინაოების საბინაო ფონდის მიმართულებით მივმართოთ. შეიძლება ქალაქს თავშესაფარი არ ჰქონდეს? დღეს რომ არ ყოფილიყო რეგიონული ინფრასტრუქტურის სამინისტრო და ნარმანია, ამ სიცივეში უამრავი ადამიანი გაიყინებოდა. ამ უწყებამ გააკეთა ეს თავშესაფარი თავისი ფულით და ადამიანები სიკვდილს გადაარჩინა. ამათ აიღეს და ამასაც კრიტიკის თვალით დაუწყეს ყურება. ამ უსახლკაროებისთვის 300 000 გამოიყო, ანძის გასანათებლად კი ნახევარი მილიონია გამოყოფილი და ეს სამართლიანია? კი ბატონო, ის ანძაც განათდეს და თავშესაფარიც გაკეთდეს, ქალაქს რაც სჭირდება, მიზნობრივად გავუშვათ, ეს არის ჩვენი თხოვნაც, მოთხოვნაც და დამოკიდებულებაც. გარდა ამისა, იქ სოციალურად დაუცველების თემაა, გამგეობების თემებია, რაც მისახედია და მივხედოთ ამას.

**— თუ მარტამდე არ დამტკიცდა ბიუჯეტი, თქვენ რაში გაწყობთ საკრებულოს დაშლა, მართლაც სადავეების ხელში ჩასაგდებად?**

– ვის უნდა დაშლა? რას მელაპარაკებით? თუ ვინმე დარტყმას იღებს, ეს არიან ისევ საკრებულოს წევრები, რომლებიც, ფაქტობრივად, თვითლიკვიდაციას აცხადებენ და ახალი არჩევნები დაინიშნება, მაგრამ მერიის მოქმედების სისტემა რჩება ჩვეულებრივად. თუმცა ერთადერთი ცვლილებით – ინიშნება მერის მოვალეობის შემსრულებელი. ქალბატონი სევდია არის მოვალეობის შემსრულებელი, მანამდე პირველი მოადგილე იყო და ახალი კანონმდებლობით, ქალბატონ უგრეხელიძეზე ეს კანონი არ ვრცელდება. მაგრამ ქუდი ვინც უნდა დაიხუროს და წავიდეს, ეს არის სწორი, თითოეული ჩვენგანი, ვინც აქ მუშაობს. ანუ, აქ პრინციპული მომენტია: მათ უნდა წარმოადგინონ ბიუჯეტი და თქვან, რა ფული სად მიდის.

**— თუ მაინც ვერ მოხერხდა ბიუჯეტის შეცვლა, ხართ წამსვლელები დაშლაზე?**

– აქ მკითხაობა ძნელია. მოდით, დაველოდოთ მოვლენებს, მაგრამ იმ მოცემულობით, რაც დღეს გვაქვს, ძალიან რთულია მუშაობა ქალაქის მერიასთან. ესენი არიან ადამიანები, ვინც ისევ ძველი მეთოდებით აგრძელებს სვლას, იმის ნაცვლად, რომ აქ იყოს გაცხოველებული დებატები, საუბრები და ჰქონდეთ წარმოდგენილი დაწვრილებითი გეგმები. კიდევ ვიმეორებ, კითხვა ბევრია, პასუხები კი ჯერ არ ჩანს. ისევ და ისევ მიდის საბოტაჟი და ეს აღიზიანებს თბილისელებს. ამ თბილისელებსაც ყელში ამოუვიდათ „ნაცების“ პარპაში და მამაძაღლობები.

**— მართალია, რომ მერიას საკრებულომ მიმართა, რომ მათ მათ წარმოადგინონ იმ ფულის დახარჯვის ანგარიში, რაც გამოუყო საკრებულომ?**

– კი. მათ აქვთ იანვარში თანხის 1/12-ის ხარჯვის უფლება, ვუთხარით, გაგვაცანით, რაში ხარჯავთ თანხებს და აბსოლუტურად არაფერი არ ჩანს. ამ დროს ერთადერთი პრობლემა თურმე ანძა ყოფილა და აჰა, თიშავენ...

**პ.ს. გვიან ღამით ტელეანძა ისევ გაანათეს**

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კარგი კოდექსიაო



პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის თქმით, თვითმმართველობის კოდექსის პროექტის მეორე მოსმენით დამტკიცება, საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ინტერფრაქციულ ჯგუფს უფრო კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას მისცემს.

„თვითმმართველობის კოდექსი და საარჩევნო კოდექსი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. უნდა გაირკვეს თვითმმართველობის საკითხები, რას ვაკეთებთ, რას ვირჩევთ, რა ფუნქციებით ვირჩევთ და რა რაოდენობით. შემდგომ პროცედურებსა და წესებს უკვე საარჩევნო კოდექსი დაადგენს“, – განაცხადა უსუფაშვილმა.

მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ თებერვლის ბოლომდე საკანონმდებლო დონეზე საარჩევნო მიმართულებით ყველაფერი ცხადი უნდა გახდეს. რაც შეეხება მერებისა და გამგებლების არჩევის ბარიერის საკითხს, ის აცხადებს: „აქამდე მხოლოდ თბილისში იყო პირდაპირი წესით არჩეული მერი. ჩვენი გადაწყვეტილებით, პირდაპირი წესით არჩევნები 70 ერთეულში ჩატარდება, რაც ძალიან სერიოზული მოვლენაა“, – განაცხადა უსუფაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## სააკაშვილი ინსტიტუტს ქმნის



სპეციალურად მიხეილ სააკაშვილისთვის, პრესტიჟულმა ფლეტჩერის ინსტიტუტმა პირველად შექმნა ახალი თანამდებობა. ამის შესახებ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი სოციალურ ქსელ „ფეისბუკში“, საკუთარ გვერდზე წერს. აქვე აღნიშნულია, რომ სააკაშვილი სხვადასხვა პრესტიჟულ უნივერსიტეტებში სპეციალური მიმართვებითა და ლექციებით წარდება.

სააკაშვილი წერს, რომ მას უკვე ჰქონდა გამოსვლა პრინსტონის უნივერსიტეტში. რამდენიმე დღეში კი ის მიწვეულია ლექციების წასაკითხად ჰარვარდის უნივერსიტეტში. ამასთანავე, უახლოეს ხანში მისი ხელმძღვანელობით შეიქმნება ახალი ამერიკული ინსტიტუტი. (ინტერპრესნიუსი)

## იაპონიამ გრანტი გამოგვიყო



გარემოსდაცვითი ღონისძიებების მხარდასაჭერად, იაპონიის მთავრობამ საქართველოს 2 მლნ აშშ დოლარის ოდენობის გრანტი გამოუყო.

„არასაპროექტო გრანტი გამოიყენება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჭიროებისთვის, კერძოდ, ქვეყანაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების გასაუმჯობესებლად დაკვირვების სადგურების ავტომატური აღჭურვილობის განახლებისათვის; ბუნებრივი და ანთროპოგენული კატასტროფების რისკის განსაზღვრისთვის საჭირო შესაბამისი აღჭურვილობის და ტექნიკის (ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენების პარამეტრებზე დაკვირვების აპარატურა, ასევე წყლის ხარისხისა და ნიადაგის გამოსაკვლევი აპარატურა) შეძენისთვის“, – განმარტავენ სამინისტროში. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# რომელ კანონს არღვევს თეა წულუკიანი

## და რატომ არ დაისჯება?

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა, თითქოსდა მთავარ პროკურორად შესაძლოა, ეკა ბესელია დაინიშნოს. მისი თქმით, მთავარი პროკურორი არ უნდა იყოს დაკავშირებული რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან.

გიგაურისვე შეფასებით, მთავარი პროკურორის შერჩევის პროცესში კანონის მოთხოვნა არ სრულდება. მისი თქმით, „არ სრულდება კანონის მოთხოვნა, როცა საუბარია მთავარი პროკურორის შერჩევის პროცესზე. პროკურატურის შესახებ კანონის მე-9 მუხლი, ერთი მხრივ, საუბრობს მთავარი პროკურორის პასუხისმგებლობაზე, მაგრამ მეორე მხრივ განმარტავს მისი შერჩევის წესს და ამბობს, რომ აქ მთავარი როლი ეკისრება იუსტიციის მინისტრს. სამწუხაროა, რომ იუსტიციის მინისტრი ამ კონსულტაციებში არ მონაწილეობს, რადგან, როგორც აცხადებს, მთავარი პროკურორის შერჩევა ხდება პრემიერ-მინისტრის მიერ“, – განაცხადა ეკა გიგაურმა.

მისივე განმარტებით, მთავარი პროკურორის მხოლოდ პრემიერის მიერ შერჩევა მიუღებელია, რადგან „იუსტიციის მინისტრმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა იმ ადამიანზე, ვინც ამ თანამდებობაზე დაინიშნება. კანონი ამბობს, რომ მთავარ პროკურორს იუსტიციის მინისტრის წარდგინებით ნიშნავს პრემიერ-მინისტრი“, – განმარტა გიგაურმა და დასძინა, რომ მნიშვნელოვანია ის კრიტერიუმებიც, რასაც მთავარი პროკურორი უნდა აკმაყოფილებდეს. „ეს კრიტერიუმებია: დადებითი რეპუტაცია, რაც სამართლიანობის აღდგენის პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია, გამოცდილება, მან ასევე უნდა დაიწყოს პროკურატურის რეფორმა და ზოგადად, მნიშვნელოვანია უწყების მიმართ საზოგადოების ნდობის გაზრდა“, – დასძინა გიგაურმა.

**რას ნიშნავს, როცა იუსტიციის მინისტრი არ მონაწილეობს უშუალოდ მას დაქვემდებარებული მთავარი პროკურორის კანდიდატურის შერჩევაში? რით ისჯება მე-9 მუხლის დარღვევა და რას აპირებს არასამთავრობო სექტორი?**

**„ალია“ კომენტარისთვის ეკა გიგაურს დაუკავშირდა:**

**— ქალბატონო ეკა, უკვე მეორედ გიწევთ იმაზე საუბარი, რომ პრემიერი ერთპიროვნულად წყვეტს, ვინ იქნება მთავარი პროკურორი...**

– ასე, თქვენ თუ გახსოვთ, ჩვენ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა გავავრცელეთ განცხადება რამდენიმე დღის წინ, სადაც ვამბობდით, რომ ეს მე-9 მუხლი საუბრობს იმაზე, რომ იუსტიციის მინისტრის წარდგინებით ხდება მთავარი პროკურორის დანიშვნა. როცა ასეთი სახის ჩანაწერი არსებობს კანონში, ჩვენ გვესმის იუსტიციის მინისტრის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ის არ არის ჩართული კონსულტაციებში, ამას აკეთებს პრემიერ-მინისტრი და როცა ის გაივლის კონსულტაციებს პრემიერთან, მხოლოდ ამის შემდეგ გაიგებს მთავარი პროკურორობის კანდიდატის ვინაობას. ზუსტად ამ ფაქტის გამო ჩვენ ჩავთვალეთ საჭიროდ, მიგვეთითებინა მთავრობისთვის მე-9 მუხლის არსებობის შესახებ.

**— პირველ მიმართვაზე რა პასუხი მიიღეთ მთავრობისგან?**

– პასუხი არ მიგვიღია. ჩვენ „საიასთან“ და სხვა ორგანიზაციებთან ერთად გავაკეთეთ გასულ კვირას, მაგრამ ამის შემდეგ მაინც ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ არ იყო გათვალისწინებული ჩვენი რეკომენდაცია და კონსულტაციებს მართავდა პრემიერ-მინისტრი მთავარი პროკურორის კანდიდატურასთან დაკავშირებით. გამოდის, რომ დღემდე ქალბატონო თეასთვის არ არის ცნობილი იმ ხალხის ვინაობა, ვინც მოიაზრება ამ პოსტზე.



**— რატომ აღმოჩნდა თეა წულუკიანი ამ პროცესების მიღმა? „ნაციონალური მოძრაობა“ ვარაუდობს, რომ მომავალი მთავარი პროკურორი მითითებების უსიტყვო შემსრულებელი იქნება და წულუკიანი პასუხისმგებლობას გაურბის.**

– არ ვიცი, რატომ არ მონაწილეობს ამ პროცესებში, მე არც „ნაციონალების“ პოზიცია მსმენია, მაგრამ ვერ დავეთანხმები იმაში, რომ თეა წულუკიანი არ არის გავლენიანი მინისტრი, ის მნიშვნელოვან რეფორმებს ხელმძღვანელობს და ვფიქრობ, რომ იუსტიციის სამინისტროსგან მნიშვნელოვანი ინიციატივები მოდის.

**— მე-9 მუხლის დარღვევა სასჯელს ითვალისწინებს?**

– არა, არაფრით.

**— რას აპირებთ?**

– ჩვენ უკვე მივუთითეთ, რომ თეა წულუკიანის ჩართვა მნიშვნელოვანია ამ პროცესებში, ჩვენ უკვე მივეცით რეკომენდაციები და ამით ამოიწურა ჩვენი მცდელობა. მეტი არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია. ჩვენ მხოლოდ მოვუწოდებთ მხარეებს, შეასრულონ კანონის მოთხოვნა და არც ის ვიცი, გაითვალისწინებენ თუ არა ამჯერად.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### ოფშორულ ფირმას საქართველოში ქონება არ მიჰყიდოთო

„დემოკრატიული მოძრაობის“ წევრის, მამუკა ჩხეიძის განცხადებით, ოფშორში დარეგისტრირებულ ფირმას საქართველოში ქონების ფლობის უფლება არ უნდა ჰქონდეს. მისი თქმით, იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი კანონი შემოვა, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მიტაცებულ ქონებებთან დაკავშირებით ბევრი ინფორმაცია გახდება ცნობილი.

„ნებისმიერ დიდ ბიზნესს რომ გადახედოთ და ჩაეძიოთ, ამ ბიზნესების უკან ვინ დგას, მეორე, მესამე და მეოთხე საფეხურზე ამოტივტივდება ფირმები, რომლებიც დარეგისტრირებულები არიან ოფშორულ ზონებში. შარშან საქართველოში მიიღეს კანონი, რომ ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებულ კომპანიებს არ ჰქონდათ უფლება ტელევიზიების ფლობის. საქართველოში უნდა იყოს შემოღებული კანონი, რომ ოფშორში დარეგისტრირებულ ფირმას არ უნდა ჰქონდეს საქართველოში ქონების ფლობის უფლება. ამ შემთხვევაში ძალიან ბევრი რამ დღის სინათლეზე გამოვა, მათ შორის დატერორებულ ქონებასთან მიმართებაში. თუმცა, მე, როგორც „დემოკრატიული მოძრაობის“ საფინანსო-ეკონომიკური ჯგუფის ხელმძღვანელი, ვამბობ, რომ ეს არ აწყობს მათ შორის „ქართულ ოცნებასაც“, – აღნიშნა ჩხეიძემ.

მისივე თქმით, 6-მილიარდიანი ინვესტირების ფონდიც დარეგისტრირებულია ოფშორულ ზონაში.

„საუბარია ფონდზე, რომელიც დააანონსა ბიძინა ივანიშვილმა. რამდენიმე დღის წინ პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმაც განაცხადა, რომ მობილიზებულია 6 მილიარდი ფონდში. ეს ძალიან საინტერესო და სკანდალური თემაა. ამ შემთხვევაში ჩვენ მივდივართ იქამდე, რომ კეზერაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მთელი ბიზნესი გატანილია ოფშორებში და ის ფონდიც, რომელმაც საქართველო უნდა გადაარჩინოს, ისიც ოფშორშია დარეგისტრირებული. ამ ფაქტებს შორის კავშირს ყველა ხედავს“, – განაცხადა ჩხეიძემ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### საფრანგეთმა „ცე“ ჰეპატიტზე უფასო მკურნალობა შეგვიჩერა



უფლებადამცველ დიმიტრი ლორთქიფანიძისა და საფრანგეთი-საქართველოს თანამეგობრობის ასამბლეის აღმასრულებელი დირექტორის ნუგზარ სულაშვილის განცხადებით, საფრანგეთმა საქართველოს მოქალაქეებს „ცე“ ჰეპატიტზე უფასო მკურნალობა შეუჩერა.

სულაშვილის თქმით, საფრანგეთმა ეს გადაწყვეტილება 2013 წლის 6 აგვისტოს, მას შემდეგ მიიღო რაც საფრანგეთის საელჩოს მიეწოდა ინფორმაცია, რომ საქართველომ დაიწყო „ცე“ ჰეპატიტზე უფასო მკურნალობის პროგრამა.

მისი თქმით, პირადად მისთვის ზუსტად უცნობია, ვინ მიაწოდა საფრანგეთის საელჩოს ეს ინფორმაცია, თუმცა ფრანგული მხარე ინფორმაციის წყაროდ საქართველოს ხელისუფლებას ასახელებს.

სულაშვილისვე განმარტებით, საფრანგეთის საელჩოსთვის მიწოდებულ ინფორმაციაში განმარტებული არ იყო, რომ „ცე“ ჰეპატიტზე მკურნალობა მხოლოდ პენიტენციურ სისტემაში მყოფი პატიმრებისათვის იქნებოდა უფასო.

როგორც ნუგზარ სულაშვილმა აღნიშნა, საფრანგეთში ამჟამად „ცე“ ჰეპატიტით მკურნალობისთვის დაახლოებით 4-5 ათასი ქართველი იმყოფება, რომლებიც ამჟამად დეპორტს ექვემდებარებიან. (ინტერპრესნიუსი)

### „თავისუფალი საქართველო“ ხელმოწერის შეგროვებას აგრძელებს

პარტია „თავისუფალი საქართველო“ მოქალაქეებისთვის მათ კანონიერ სარგებლობაში არსებული ბინების დაკანონებას მოითხოვს. პარტიის ცნობით, „თავისუფალი საქართველოსა“ და ბინათმოსარგებლეთა საინიციატივო ჯგუფის წევრები კანონში ცვლილებების შეტანის ინიცირებისთვის 30 ათასი ხელმოწერის შეგროვებას აგრძელებენ. „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ 2005 წელს მიღებულ კანონში ცვლილებების შეტანის შემთხვევაშიც საკუთარი სახსრებით შეძენილ სახლში, ღიად, კეთილსინდისიერად მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს, ე.წ. ატსტუპნიკებს შეძენის ხანდაზმულობის უფლების შესაბამისად საბოლოოდ დაუკანონდებათ ბინები.

პარტიის გენერალური მდივნის ალექსანდრე შალამბერიძის განცხადებით, „კომუნისტების პირობებში, როდესაც ლეგალურად აკრძალული იყო ბინების, როგორც უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა და ადამიანების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროცესი მთლიანად სახელმწიფოს ხელში იყო მოქცეული, ადამიანებმა, რომლებმაც სახელმწიფოს მხრიდან ვერ შეძლეს ელემენტალური საცხოვრებელი ჭერის მიღება, რაც მათი ცხოვრების აუცილებელი პირობა იყო, იპოვეს შემოვლითი გზა საცხოვრებლით საკუთარი თავისა და საკუთარი ოჯახის უზრუნველყოფისა და საკუთარი ძალებითა და სახსრებით შეიძინეს საკუთარი საცხოვრისი. მას შემდეგ, რაც (1996 წ.) ჩაწერის ინსტიტუტი გაუქმდა, ეს ადამიანები დარჩნენ ჰაერში გამოკიდებულები, და მიუხედავად იმისა, რომ მრავალი წელია სააკაშვილის ხელისუფლება ჰპირდებოდა მათ ამ პრობლემის გადაწყვეტას, დღემდე ეს პრობლემა გადაუწყვეტელია, მაშინ, როდესაც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ეს პრობლემა წარმატებით გადაწყდა და გადაწყდა სწორედ ხანდაზმულობით, ისე, როგორც ეს კანონის პროექტით არის ჩამოყალიბებული“, – აღნიშნა შალამბერიძემ. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YELLOW BLACK





# ექსპერტი



# დღის მოვლენები, საფრთხეები და ექსპერტის შეფასებები

20 იანვრის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, ვინ დაიკავებს მთავარი პროკურორის პოსტს. უკვე დასტურდება, რომ შოთაძის კანდიდატურა მთავარი პროკურორის პოსტზე თამაშგარე რჩება. დასახელდა რამდენიმე კანდიდატი, მათ შორის ეკა ბესელია, თუმცა ქართული პოლიტიკის „ჟანა დარკის“ ამ პოსტზე დანიშვნა არ დასტურდება. ასევე, საუბარი იყო შს მინისტრის მოადგილე გიორგი ზედელაშვილზე, რომელიც კომპეტენტურობით ხასიათდება, მაგრამ ის მაინც არ არის პროკურორი და პროკურატურის წიაღიდან წამოსული კადრი და ამ კანდიდატურის განხილვაც „დასტოპებულია“. მიუხედავდა იმისა, რომ პროკურატურა იუსტიციის სამინისტროს გამოეყო და მასზე ზედამხედველობას აღარ ახორციელებს, კანონის მიხედვით, მთავარი პროკურორის წარდგენა იუსტიციის მინისტრის პრეროგატივაა.

**„ალიას“ კითხვებს უპასუხებს ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი და 20 იანვრის მნიშვნელოვან მოვლენებს შეაფასებს:**

– კანონის დებულების თანახმად, იუსტიციის მინისტრმა უნდა შეარჩიოს მთავარი პროკურორი და წარუდგინოს პრემიერ-მინისტრს, რაც ნიშნავს ამ პროცესში გუნდის ჩართულობას. ამას ვერ ვხედავთ. როგორც ჩანს, არც ფარცხალაძის შემთხვევაში იყო ინიცირებული იუსტიციის მინისტრის მიერ. როდესაც უშვებ შეცდომას და იღებ მძიმე შეფასებას ფარცხალაძის დანიშვნის გამო, ცხადია, უნდა ეცადო, რომ შემდეგი შეცდომა აღარ დაუშვა. აქ ეჭვები მაშინ გაჩნდა, როდესაც ზოგიერთ მინისტრს ისე დაუნიშნეს მოადგილეები, რომ მათ რაიმე კონსულტაციის უფლება არ დაუტოვეს. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს „ოდეერების“ ახალ ფორმატთან. თუ მიზანია, რომ მინისტრსა და მის მოადგილეს შორის თავიდანვე იყოს დაძაბული ურთიერთობა, ასეთი პირი უნდა დაინიშნოს მინისტრთან შეთანხმების გარეშე. იმედი მაქვს, რომ ასე არ მოქცეულა პრემიერ-მინისტრი. იმდენად მწვავეა დღეს მთავარი პროკურორის საკითხი, რომ ეს სცდება ერთი სტრუქტურის პრობლემებს. ამ ეტაპზე ეს პოსტი ერთ-ერთი საკვანძოა, რადგან გასული წლინახევრის განმავლობაში ამ ორგანომ საკუთარი ფუნქცია ჩააფლავა და ახლა მის მიმართ ბევრად უფრო მაღალი მოთხოვნებია საზოგადოების მხრიდან. თუ მაინცდამაინც სანაცნობო წრიდან უნდა იყოს მოძიებული მთავარი პროკურორის კანდიდატურა, მაშინ კვლავ დაუსრულებელ კრიტიკას უნდა ველოდოთ ამ ორგანოს მიმართ.

**— რამდენად მოახერხებს ხელისუფლება, რომ გაზაფხულს ხალხის ქუჩაში გამოსვლის გარეშე შეხვდეს. გორის ბაზრის მოვაჭრეები თბილისშიც კი ჩამოვიდნენ და კანცელარიასთან აქცია გამართეს.**

– გაზაფხული, ზოგადად, საყოველთაო შფოთის საუკეთესო პერიოდია. გაზაფხული ხელისუფლებისთვის არ წარმოადგენს საფრთხეს, თუ მთავრობა კომუნიკაციას დაამყარებს საზოგადოებასთან, რომლის დეფიციტზეც სრულიად სამართლიანად საუბრობს ბატონი ღარიბაშვილი, თუმცა ვერ ვხედავთ ისეთ საკადრო ცვლილებებს, რომელიც ამ ნაკლს გამოასწორებდა.

**— თვითმმართველობის არჩევნები არის გადამწყვეტი ბრძოლა. არასაპარლამენტო ოპოზიცია 50%-იან ბარიერს მოითხოვს, მმართველი გუნდი 40%-ს დააკანონებს, როგორც ჩანს.**

– 2009-2010 წლებში „ოპოზიციური რვიანის“ ლიდერების თხოვნით, არაერთი დისკუსიის მოწმე გახლდით, საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწის მიზნით. კარგად მახსოვს იმ დროს ოპოზიციონერთა პოზიციები, მათი დიდი რაოდენობა დღეს უკვე უმრავლესობაშია. დღეს, როცა ხელისუფლებაში აღმოჩნდნენ, არ ვარ დარწმუნებული, რომ იგივე პოზიციაზე დგანან, რაც არის გარკვეული სკეპტიციზმის გამომწვევი ოპოზიციური სპექტრის მიმართ. ფაქტია, რომ ყველა ის მოთხოვნა, რაც ადრე ოპოზიციიდან მოდიოდა, აღარ არის საინტერესო დღევანდელი ხელისუფლებისთვის. არჩევნები ყველაზე სერიოზული გამოწვევაა ჩვენს ევროინტეგრაციის გზაზე, რადგან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა დაგეგმილია სწორედ არჩევნების შემდეგ. ჩვენი მთავარი მიზანია, ისე არ მოვიქცეთ, რომ ხელშეკრულების ხელმოწერა დღის წესრიგიდან ამოღებულ იქნას. აი, ეს არის საფრთხე. როცა ერთ მერს ვირჩევდით, სიმშვიდე ბუნებრივი მოვლენა იყო, მაგრამ, როცა ყველა სოფელს საკუთარი გულისტკივილის დასაამებლად კონკრეტული არჩევანი აქვს, მათი რაიმე ერთიანი რეცეპტით დადუმება წარმოუდგენელი იქნება. ძალიან ბევრია დამოკიდებული დღევანდელ ხელისუფლებაზე, რამდენად თავისუფალნი იქნებიან ყოფილი ხელისუფლების პრაქტიკის გავლენისგან. თუ იქნება დასახული მიზანი, რომ 64-ივე ოლქში უნდა გაიმარჯვოს „ქართული ოცნების“ კანდიდატმა, ჩვენ ვეღარ დავინახავთ განსხვავებას დღევანდელ და წინა ხელისუფლებას შორის, მაშინ ცხადია, პროტესტიც იქნება. ამდენად თემა ორპარატიული დემოკრატიისა, რასაც ასე უწევს ტირაჟირებას „ნაციონალური მოძრაობა“, ამ ტერმინის მიმართ არც „ოცნებისგან“ მომისმენია პროტესტი, რაც თავისთავად მიუთითებს საფრთხეების სიმრავლეზე ადგილობრივი არჩევნების პირობებში. კარგი იქნება, თუ ხელისუფლება კიდევ რამდენიმე თვეს მოითმენს და არჩევნებს დანიშნავს ოქტომბერში. ოქტომბერი ხომ ყისმათიანი თვეა „ქართული ოცნებისთვის“.

**— თუმცა რაც ხდება მერიასა და საკრებულოს შორის, ეს სულაც არ მიუთითებს, რომ ხელისუფლება აპირებს მოითმინოს და აიტანოს კიდევ რამდენიმე თვე ადგილობრივ თვითმმართველობებში „ნაციონალური მოძრაობა“. საკრებულომ ჩააგდო მერიის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი 31 დეკემბერს, რადგან არ იყო ბიუჯეტი გამჭვირვალე, მეორე და მესამე ჩაგდების შემთხვევაში რა პროცესებს მივიღებთ?**

– მათ უნდა ეყოთ გონიერება გაშიფრონ, რა იგულისხმება ბიუჯეტის ამა თუ იმ მუხლში, რომელიც გაურკვეველი სათაურით იპრანჭება საბიუჯეტო პროექტში. თუ არ გაშიფრა მერიამ ბიუჯეტში ბუნდოვანი პუნქტები, მაშინ ეს ნიშნავს, რომ ის გახლავთ სწორედ პროვოკატორი ამ სისტემის ხელოვნურად მოშლისა იმ მიზნით, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ მოსახლეობაში უკმაყოფილოთა რიცხვი გაიზარდოს. თუ თბილისის საკრებულო მოსახლეობის ინტერესებს გაატარებს და არ იხელმძღვანელებს რომელიმე პოლიტიკური ძალის წარმატების სურვილით, მეტ სიმპათიას მოიპოვებენ თბილისელებში და შედეგსაც უკეთესს მიაღწევენ არჩევნების დროს. ახლა მთავარია, მშვიდობიანად მივიდეთ ადგილობრივ არჩევნებამდე, მათ არ უნდათ, გამოიწვიონ ხელოვნურად კრიზისი. საკრებულოს დაშლა, მოვალეობის შემსრულებლების დანიშვნა, ეს კიდევ ერთი ზედმეტი თავის ტკივილია. თუ გაჯიუტდა მერია და არ გაშიფრა ბიუჯეტში, ციფრები რა რისთვის ესაჭიროებათ, საგამოძიებო ორგანოებში გადაინაცვლებს ეს ციფრი, მისი გახარჯვის შესაბამისი კონტროლით. მერე უკვე მერიის თანამშრომელი ვეღარ გაიმართლებს თავს, რატომ მიდის თანხა ამა თუ იმ მიმართულებით. ასე რომ, ბიუჯეტის მკაფიო გაწერა მერიის თანამშრომლების უსაფრთხოების ინტერესებში უნდა შედიოდეს.

**ნინო სამხარაძე**
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მაჭავარიანი მთავრობაზე ეჭვობს




„ნაციონალი“ დეპუტატის, მიხეილ მაჭავარიანის თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ ეჭვობს, რომ შესაძლოა, ლარის გაუფასურება და ფასების ზრდა აწყობს მხოლოდ მთავრობას, რათა მომავალი წლის სოციალური ვალდებულებების შესრულება უფრო იაფი დაუჯდეს.

„ჩვენ ყოველთვის ვერიდებოდით ამ საკითხის პოლიტიზებას, რადგან ეს ეხება ჩვენი თანამოქალაქეების გაღარიბებას, მაგრამ მას შემდეგ, რაც მთავრობის წარმომადგენლებისგან მოვისმინეთ უპასუხისმგებლო განცხადებები, საჭიროდ ჩავთვალეთ, გამოვხატოთ ჩვენი პოზიცია. ეს არის იმ არაეფექტური და სუსტი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგი, რომელიც მთავრობას 2013 წლის განმავლობაში ჰქონდა. მთავრობას არ ჰქონდა არანაირი კონკრეტული გეგმა, ხედვა და კომპეტენცია, რამაც გამოიწვია სახელმწიფო ბიუჯეტის გარღვევა მილიარდ ლარამდე. არის ეჭვი, რომ ლარის კურსის რყევას მთავრობა ახალისებს. ამ ეჭვებს ამყარებს ის, რომ მთავრობა ზრდის ინფლაციურ მოლოდინს და ფიქრობს, რომ ეს მისთვის სასარგებლო იქნება, ვინაიდან, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს საბიუჯეტო დეფიციტის დაფარვას“, – განაცხადა მაჭავარიანმა.

„ნაციონალური მოძრაობა“ მთავრობას 2013 წლის განმავლობაში ეკონომიკის წინაშე მდგარი პრობლემების გაანალიზებისა და მდგომარეობიდან გამოსასვლელად კონკრეტული გეგმების შემუშავებისკენ მოუწოდებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი პროცესის გაგრძელებას ვარაუდობს. მიხეილ მაჭავარიანის შეფასებით, ქაღალდზე, შესაძლოა, ციფრები გამოსწორდეს, მაგრამ რეალურად მოქალაქეების გაღარიბება გაგრძელდება.

„ცხადია, რომ ეს არ იყო სეზონური მოვლენა, როგორც ამას მთავრობა ამბობდა და მათი ეს განცხადებები აღმოჩნდა კიდევ ერთი ტყუილი ამ მთავრობის ტყუილების კასკადში. ლარის კურსის ვარდნის შედეგად მოსახლეობამ, 2013 წლის 1-ლი იანვრის კურსთან შედარებით, დაკარგა შემდეგი – მოსახლეობის იმ ნაწილმა, რომელთაც აქვთ დოლარში აღებული სესხი, ჯამში, დაკარგა დაახლოებით 713 მილიონი ლარი; მოსახლეობის იმ ნაწილმა, რომელთაც ლარში აქვთ საბანკო ანაბარი, ჯამში დაკარგა დაახლოებით 415 მილიონი ლარი; მოსახლეობის იმ ნაწილმა, რომელთაც ლარში აქვთ ფიქსირებული ყოველთვიური შემოსავალი, ბოლო სამ თვეში, ჯამში, დაკარგა დაახლოებით 210 მილიონი ლარი; ლარის კურსის ვარდნის შედეგად სახელმწიფომ დაკარგა 320 მილიონი დოლარი სავალუტო რეზერვებიდან (2013 წლის 1-ლი იანვრის კურსთან შედარებით); პენსიონრები, რომელთა პენსიაც ჩვენ გავზარდეთ 2013 წლის ბიუჯეტში 150 ლარამდე, ჯამში, წელიწადში დაკარგავენ 144 მილიონ ლარს (2013 წლის 1-ლი იანვრის კურსთან შედარებით); ლარის გაუფასურება და ფასების ზრდა აწყობს მხოლოდ მთავრობას, ვინაიდან მომავალი წლის სოციალური ვალდებულებების შესრულება უფრო იაფი დაუჯდეს“, – აღნიშნა მაჭავარიანმა. (ინტერპრესნიუსი)

## პრეზიდენტმა 54 პატიმარი შეიწყალა




საქართველოს პრეზიდენტმა შეწყალების თაობაზე განკარგულება გამოსცა. პრეზიდენტის პრესსამსახურს ცნობით, სულ შეწყალებულია 54 პირი, საიდანაც 2 არასრულწლოვანი და 3 ქალია. პრეზიდენტის განკარგულება გადაეგზავნა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს. შეწყალებულმა პირებმა საპატიმროები უკვე დატოვეს. (ინტერპრესნიუსი)



## სასკოლო ასაკი ჯერ ვერ განსაზღვრეს



განათლების სამინისტრო სკოლაში ბავშვის მიღების ასაკის განსაზღვრაზე მუშაობს. არსებული კანონმდებლობით, სკოლაში 5 წლის ასაკის ბავშვის მიღება დაშვებულია. თუმცა, როგორც უწყებაში განმარტავენ, საქართველოში ჩატარებული კვლევების თანახმად, სკოლაში 5 წლის ასაკის ბავშვის მიყვანა მიზანშეწონილი არ არის. კვლევის მიხედვით, ამ ასაკში ბავშვები საგანმანათლებლო პროცესისთვის მზად არ არიან, გაკვეთილზე კონცენტრაცია უჭირთ, მოუსვენრობენ, ზოგიერთს ეძინება და ა.შ.

უწყების ინფორმაციით, განათლების სამინისტრო ზოგადი განათლების სტრატეგიაზე მუშაობს, რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად, სკოლაში ბავშვის მიღების ასაკიც განისაზღვრება. სამინისტრო სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებას ეცნობა და საჭიროების შემთხვევაში სიახლეს განახორციელებს. სტრატეგიის საჯარო განხილვა თებერვლიდან დაიწყება.

რაც შეეხება დეტალებს, მაგალითად, შესაძლებელი იქნება თუ არა 5 წლის ასაკის ბავშვის შეყვანა სკოლაში, თუკი ის სასწავლო პროცესის დაწყებიდან რამდენიმე კვირაში 6 წლის გახდება. ამ კითხვაზე განათლების სამინისტროში პასუხობენ, რომ ცვლილებების მიღების შემთხვევაში, კანონპროექტში ყველა დეტალი გაიწერება. (ინტერპრესნიუსი)

## ლარის გასამყარებლად 40 მლნ აშშ დოლარი ისევ გაიყიდა

ეროვნულმა ბანკმა ლარის გამყარების მიზნით ისევ დოლარი გაყიდა. კერძოდ, ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე 40 000 000 აშშ დოლარი გაყიდა.

საშუალო შეწონილმა გაცვლითმა კურსმა 1.7701 შეადგინა. ლარის კურსი დოლართან მიმართებაში გაუფასურებას განაგრძობს.



# კმარა

## რა ფარულ სცენარზე მუშაობს სააკაშვილის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი?



უკრაინაში უკვე სისხლი იღვრება, ათობით ადამიანი დასახიჩრებულია. ამერიკა აკრიტიკებს იანუკოვიჩს იმის გამო, რომ მან უარი თქვა ნატოსა და ევროკავშირში შესვლაზე მაშინ, როცა არც ერთი ორგანიზაცია რუსეთთან კავშირის გაწყვეტის სანაცვლოდ არაფერს აძლევს. კიდევ ერთი ნარინჯისფერი რევოლუცია და მაგისი ჯანი, მსგავსი სცენარი გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე ქვეყნის დაფინანსება მილიარდებით.



ჩვენი მთავარი თემა ამჯერად მაინც ის არის, გადმოედება თუ არა უკრაინაში მიმდინარე მოვლენები საქართველოს, შეეცდება თუ არა პუტინი, ასოცირების ხელშეკრულების ვადის მოახლოებასთან ერთად, სიტუაციის არევას? როგორც ექსპერტები გვარწმუნებენ, სოჭის ოლიმპიადის ჩამთავრებამდე შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ, მაგრამ შემდეგ რუსეთის მხრიდან ნამდვილად დაიწყება არნახული ზეწოლა, მავთულხლართების გავლების გაგრძელება და რუსული ბაზრიდან გამოძევებით შანტაჟი. მოსკოვში მცხოვრები საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრი, ვალერი ხაბურძანია ამტკიცებს, რომ დასავლეთიდან და ამერიკიდან ჩვენში რევოლუცია არ იქნება, რადგან დღევანდელი ხელისუფლება უარს არ ამბობს დასავლურ კურსზე. კი, ბატონო, უარს არ ამბობს, რადგან რუსეთი ხმას არ იღებს და ეს ჩვენთვის „ბაირამობაა“, მაგრამ რას ვიზამთ შემდეგ, როცა პუტინი საქართველოსთვის მოიცლის? ჩვენ უკვე ვნახეთ, რა ძალა აქვს რეალურად ევროპასა თუ ამერიკაში გაკეთებულ იანუკოვიჩის საწინააღმდეგო განცხადებებს. ასე რომ, ერთია განცხადებები, მეორე – რეალობა.

ბევრს ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ „ნაციონალები“ უკრაინულ სცენარზე ოცნებობენ. გაიხსენეთ მათი დემარში პარლამენტში უკრაინული დროშებითა და კაშნეებით, ხოლო შემდეგ კიევში „ჩავარდნა“, სააკაშვილის თამადობით. რა თქმა უნდა, „ნაციონალებს“ ჰაერივით სჭირდებათ უკრაინული სცენარის გადმოტანა საქართველოში. თუკი კიევში სიტუაციას ჯონ მაკკეინი და მისი მომხრე კონგრესმენები მართავენ, საქართველოშიც დიდი სიამოვნებით გააკეთებენ იგივეს. მით უმეტეს, როცა კეზერაშვილის საქმეში, ანუ იარაღით ვაჭრობაში, შესაძლოა, მათი ხელიც ერიოს.

**რატომ შეიძლება საქართველოში უკრაინული სცენარი ამუშავდეს?**

მოდით, გავიხსენოთ, რატომ დაიარებოდა სააკაშვილის საპრეზიდენტო ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი ანდრო ბარნოვი რეგიონებში და ევროკავშირთან ინტეგრაციის მომხრეებს აგროვებდა, რეგიონების უმრავლესობაში უკვე შექმნა ორგანიზაციები და როგორც განაცხადა, ხალხს უნდა ავუხსნათ, როგორი მნიშვნელოვანია ქვეყნის ევროპისკენ სვლა და არა ჩრდილოეთისკენ და თუ მთავრობა ევროპულ კურსს უღალატებს, აქციებსაც გავმართავთო.

ახლა მოდით, ისიც გავიხსენოთ, რას აცხადებენ „ნაცების მიკროფონები“ – გიორგი კანდელაკი, გოკა გაბაშვილი, ჩიორა და ა.შ. გამოკვეთილად აბრალებენ ხელისუფლებას იმას, რაც რეალურად არ ხდება – „მთავრობა ევროპულ კურსს ღალატობს“, „ხელისუფლება რუსეთთან დათმობებზე მიდის“ და ა.შ. ანუ გამოდის, აქციებისთვის საფუძველს წინასწარ ამზადებენ, აქციებზე კი რა პროვოკაციებს მოაწყობენ, არავინ იცის, ეგენი ხომ სულით პროვოკატორები არიან...

რეალობა გვაჩვენებს, რომ ჩვენ ჯერაც ვერ გამოვედით „ნაციონალური“ თამაშიდან. თუ ადრე, ანუ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ჩვენი ახლანდელი დეპუტატები და მომავალი ჩინოვნიკები ერთს ლაპარაკობდნენ, ახლა მეორე ჩვენებას აწვებიან. მაგალითად, გორის ბაზარი ავიღოთ, საიდანაც ხალხს ძალით ერეკებიან ახალ ბაზარში. მოვაჭრეებს მიაჩნიათ, რომ სავაჭრო ადგილი უნდა იყოს ქალაქის ცენტრში და არა სამხედრო ბაზის გვერდით. კი, ბატონო, ასეა, მაგრამ ეს აინტერესებს ვინმეს? ადგილობრივი ჩინოვნიკები, რომლებსაც თავი მარტო ბალიშზე დასადებად უნდათ, ხელებს შლიან: ჩვენ რა ვქნათ, როცა ძველი ბაზრის ტერიტორია კერძო ინვესტორმა შეისყიდაო? რა უნდა ქნა და სწორედ ეგაა გასარკვევი, ვინ, რატომ და რისთვის გაყიდა, რამდენი გადაიხადა? ხომ ამბობდით არჩევნებამდე, ყველა ობიექტი, რაც სააკაშვილის დროს გაიყიდა, შესასწავლია და თუ დანაშაული გამოიკვეთა დამნაშავე დაისჯებაო. სად არის თქვენი დაპირება, რომელი საქმე შეისწავლეთ რიყის და „იმედის“ გარდა?

ბოლოს და ბოლოს, რა გახდა ერთი მთავარი პროკურორის დანიშვნა? წესით, პროკურორი იუსტიციის მინისტრმა უნდა წარუდგინოს პრემიერ-მინისტრს, მაგრამ თეა წულუკიანი იძახის, ამის შესახებ მე არაფერი ვიციო. მე პირადად არ მჯერა, რომ არაფერი იცის, პრემიერმა თქვა, განხილვა წულუკიანთან ერთად მიმდინარეობსო, მაგრამ თუ არ იცი, აბა, რიღას მინისტრი ხარ და რა გევალება? მარტო პირადობის მოწმობების დარიგება.

ისე, იმ ქვეყანაში, სადაც საარჩევნო ბარიერზე წლების განმავლობაში მიდის ბჭობა და ერთმანეთის თათხვა, რა გასაკვირია, რომ მთავარ პროკურორს ველარ ვნიშნავთ? თუ ატყობთ, რასაც ჩვენ „ნაციონალებს“ ვედავებოდით, იმაზე უარესს აკეთებს „ოცნების“ ხელისუფლება... ესე იგი, ახლა ეს „ნაციონალები“ გამოდიან და იქით გაწვებიან, ბარიერი ასწიეთ, რაც არის, ეს არადემოკრატიულიაო. უცხო ადამიანმა რომ უსმინოთ, ესენი მართლა დემოკრატი ბულბულები ეგონება. არადა, ხომ ვიცით, ვინც არიან?

კმარა, შეასრულეთ ის, რასაც ქართველ ხალხს შეჰპირდით!

გელა ზედელაშვილი

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები



ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის თქმით, ოქტომბერში ეკონომიკური ზრდა იყო 4,1%, ნოემბერში – 8,1%, ხოლო დეკემბერში, წინასწარი მონაცემებით – 8,5%. ამის შესახებ მინისტრმა მას შემდეგ განაცხადა, რაც პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების მიმოხილვა სთხოვა.

ხადურის განმარტებით, აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით, წლიური ეკონომიკური ზრდა 3,1% იქნება. „მარტში დაზუსტდება სოფლის მეურნეობის მაჩვენებელი, რაც, სავარაუდოდ, მოგვცემს იმის საშუალებას, რომ 2013 წლის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 3,5-3,6%-ის დონეზე დაფიქსირდება. ეს გათვლები საკმაოდ საინტერესო ფაქტობრივ მასალას ემყარება. იმედი გვაქვს, რომ ეს ტენდენცია გაგრძელდება და თუ ეს ასე მოხდა, 2014 წლისთვის სრულიად რეალისტური იქნება მსოფლიო ბანკის პროგნოზი, რომელიც ამბობს, რომ 2014 წელს საქართველოს ეკონომიკა 6,3%-ზე გაიზრდება“, – განაცხადა ნოდარ ხადურმა.

მინისტრი ვარაუდობს, რომ საქართველოს მთავრობის პროგნოზი, ეკონომიკის 5%-იან ზრდასთან დაკავშირებით 2014 წლისთვის პესიმისტური აღმოჩნდება. როგორც მან აღნიშნა, გასული წლის განმავლობაში 20%-ზე მეტით გაიზარდა ექსპორტი, შემცირდა უარყოფითი საგადამხდელო ბალანსი 500 მილიონი დოლარით, რაც დამაიმედებელი მაჩვენებლებია. (ინტერპრესნიუსი)

## ოლიმპიადის შემდეგ ბევრი რამ გამოჩნდება



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, მაია ფანჯიკიძე ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეს გაერო-ს მხრიდან, ანტი ტურუნენს შეხვდა. ფანჯიკიძის განცხადებით, შეხვედრაზე ისაუბრეს იმ სიახლეებზე, რაც ჟენევის დისკუსიების ბოლო რაუნდის წინ მოხდა და იმაზე, რაც მოხდება.

„ვგულისხმობ პოლიტიკური სიტუაციის შეცვლას საქართველოში, კოჰაბიტაციის დასასრულს, ვგულისხმობ ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებას და იმ მოლოდინს, რომელიც ჩვენ გვაქვს 2014 წლისთვის. გარდა ამისა, მომდევნო რაუნდისთვის სოჭის ოლიმპიური თამაშები იქნება ჩატარებული და ძალიან ბევრი რამე, ჩემი აზრით, გამოჩნდება სწორედ ოლიმპიური თამაშების შემდეგ. ჩვენ ვისაუბრეთ იმაზეც, იძლევა თუ არა ეს ყველაფერი ჟენევის მოლაპარაკებებისთვის რაღაც ახალი იმპულსის მინიჭების საშუალებას. ჩვენ ოპტიმისტურად ვართ განწყობილები, რომ, როგორც დეკემბერში, რომლის დროსაც უკვე რამდენიმე ცვლილება მომხდარი იყო, ჟენევა იყო შედარებით უფრო დადებითი და კონსტრუქციული, ასევე გაგრძელდება მარტის ბოლოს დაგეგმილ რაუნდზე. მე იმედი მაქვს, რომ პატარ-პატარა მიღწევები იქნება კიდევაც“, – დასძინა ფანჯიკიძემ. (ინტერპრესნიუსი)



# კულუარები

## რა მიიღო საკუთარ თავზე უგულავამ ქადაგებისას და რატომ შესცინებდა სოზარ სუბარი გიგი უგულავას თვალებში?

**ალბათ, ყველას ახსოვს 25 დეკემბრის ის ცნობილი რამდენიმეწამიანი სატელევიზიო კადრი, სადაც ნათლად სჩანდა, როგორ მივიდა ბაპტისტების ეკლესიაში შობის დღეს ქალაქის მაშინდელი მერი გიგი უგულავა და როგორ წამოუდგა ფეხზე სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი, მაგრამ იმავე კადრში კარგად დაინახავდით, რომ უგულავა ხალხს მიესალმა და ისე დაჯდა, სუბარისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია, სამაგიეროდ, სუბარს ღიმილი შეეყინა სახეზე და სკამს დაუბრუნდა.**



**ახლა კი „ალია“ იმის შესახებ მოგიყვებათ, რაც ტელევიზიით ვერ ნახეთ და რაზეც „ალიას“ წყარო ესაუბრა.**

მოკლედ, წყაროს ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც კამერები მოაშორეს, უგულავას „შეცდომა გამოუსწორებია“ და უყურადღებობისგან „გატეხილში“ დატოვებულ სოზარ სუბართან ისეთი სიამტკბილობითი საუბარი გაუბია, ხალხს შობაც კი დავიწყებია, ყველა მათ უყურებდა თურმე. ყველაფერი კი ასე დაიწყო: ბაპტისტური ეკლესიის მწყემს ოლეგ ხუბაშვილს ქადაგებისას ისეთი რამ უთქვამს, უგულავა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილა, ხალხს სიცილი დაუწყია და მიზეზიც ეს გამხდარა, რომ სუბარს ქალაქის უფლებამოსილებაშეწყვეტილ მერთან სალაპარაკო თემა გასჩენოდა. აი, რას გვიამბობს ჩვენი წყარო:

„ოლეგ ხუბაშვილი, სახარების რწმენის ეკლესიის ხუცესი, პიროვნულად არის ძალიან წესიერი და კარგი ადამიანი, პოლიტიკური განცხადებები და პოლიტიკოსებისთვის ყურისმაამებელი საუბრები არ სჩვევია, ამბობს იმას, რაც ღვთის სიტყვაში წერია.

**— რაზე აკეთებს ხოლმე აქცენტს ქადაგებისას?**

– ქადაგებისას მხოლოდ ერთს ამბობს ხოლმე ხშირად, ვისი იმედიც ადამიანზე იდო, მუდამ იმედგაცრუებული რჩება, ამიტომ ჩვენი იმედი ღმერთზე უნდა დავდოთო. ერთადერთი, რასაც აქტიურად იმეორებს ხოლმე, არის – მინდა ისეთი ხელისუფლება, რომელიც რელიგიურ უმცირესობებს არ შეგვავიწროებსო.

**— გიგი უგულავა უხერხულ მდგომარეობაში ჩაუგდია. რა მოხდა?**

– ქადაგებისას ისეთი რამ თქვა, ყველას ეგონა, უგულავას გადააწნა მათრახი, მაგრამ ასე არ ყოფილა. საქმე ისაა, რომ მწყემსი ქადაგებდა ბიბლიის იმ მომენტზე, როცა იესო ქრისტე შევიდა მებაჟე ზაქეს ოჯახში, რომელმაც მას შემდეგ, რაც ღმერთი ირწმუნა, მოპარული ფული უკან დააბრუნა. ბიბლიის ამ მაგალითზე მწყემსი ყვებოდა სხვა, უკვე პრაქტიკაში გატარებულ მაგალითებს, როცა ადამიანები, რომლებიც ღმერთს ილებდნენ და იწამებდნენ, ინანიებდნენ თავიანთ ცოდვებს, მათ შორის ქურდობას. მწყემსმა თქვა, ამას მოჰყვა საზოგადოებაში გავრცელებული აზრის გაჟღერება, რომ, თუ გაჭირვებულს მისცემ ფულს, ის აღარ მოიპარავს, თუმცა მე კი მგონია, რომ ადამიანს რაც მეტი აქვს, მეტი უნდა, პირიქით, ვისაც მილიონი აქვს, ის კიდევ მეტ მილიონს იპარავსო.

**— და ეს მიიღო გიგი უგულავამ თავის თავზე?**

– დიახ, ამ დროს ქადაგებას ისმენდნენ გიგი უგულავა და სოზარ სუბარი, რომლებიც ერთმანეთთან სკამის გამოტოვებით ისხდნენ, ამ სიტყვების მერე მათ ერთმანეთს გადახედეს, წამით სიჩუმე ჩამოვარდა და ხალხმა დაიწყო სიცილი გიგისა და სოზარის მეთაურობით. როცა მწყემსის ეს სიტყვები გავიგონე, პირველი, რაც გავაკეთე, გიგისკენ გავიხედე. ვიცოდი, რომ ოლეგი გამიზნულად მისი მისამართით არ ამბობდა, მაგრამ მისი რეაქცია მაინტერესებდა და როცა დავინახე, როგორ გადახედა სოზარს და გადაუჩურჩულა რაღაც, იმდენი ვიცინე...

**— მწყემსმა ახსნა, უგულავა არ მიგულისხმიაო?**

– არა, მწყემსი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, ვერც ის თქვა, შეგნებულად არ მითქვამსო, ვერც ხმა ამოიღო, რა აეხსნა, ვერ გაეგო. სიცილი თვითონაც დაიწყეს და კარგა ხანს ვერ ჩერდებოდნენ. ხალხი ხუმრობდა, მწყემსმა გიგი ამხილაო. ამაზე არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია მწყემსს, ქადაგება გააგრძელა ჩვეულებრივად, უბრალოდ, დროდადრო ყველას ეცინებოდა, სანამ გიგი და სოზარი არ წავიდნენ, თვითონ გიგიც დროდადრო იცინოდა ხოლმე, თან სოზარს ისე გადაულაპარაკებდა, დაპირისპირებული პარტიის წევრები სულ არ გეგონებოდათ, პირიქით.

**— ანუ კამერების გაყვანის შემდეგ ხელოვნური დაპირისპირების აუცილებლობაც არ იყო და ჟღურტულებდნენ?**

– ხალხში ერთმანეთს სულ ლანძღავენ, თითქოს დაძაბულობაა, ახლა არა, ისე კარგად იყვნენ ერთმანეთში, ღიმილიანი სახეებითა და კარგი შეხმატკბილებული ნაცნობებივით. საერთოდ არ ჰგავდა შარშანდელ სიტუაციას, როცა წულუკიანი და გიგი იყვნენ ერთად მოსულები და ერთმანეთს ზედ არ უყურებდნენ.

**— თავად გიგის როგორ შეხვდა ხალხი?**

– დიდი სითბოთი, სოზარზე უკეთ შეეგებნენ. ნუ გაგიკვირდებათ ეს დახვედრა, ჩვენში ბევრია, ვინც თვლის რომ დღეს ხელისუფლებაში ბევრი ედუარდისდროინდელი დაბრუნდა, რომლებიც თავის დროზე სძულდა ხალხს, ახლა მაგათი რეანიმაციის გამო „ნაციონალების“ მხარეზეც ცოტა არ გადადის. ზიზღი უბედური რამეა, ხშირად საღი აზროვნების უნარს გაკარგვინებს, ხომ იცით.

**— მერე ეს ჟღურტული ქეიფშიც გადაიზარდა, როგორც ვიცი.**

– ეგეთები ჩვენთან არ ხდება, სუფრა და ღრეობა არაა არასდროს, სუფრა კეთდება ძალიან მოკრძალებული, საჭმლით მდიდარი, მაგრამ სასმელი – არა. სოზარი ჩვენთან პირველად არ ყოფილა, ჰქონდა კი ეგ იმედი, რომ იქ სმა-ჭამა წავიდოდა? ჩვენ ასეთი ტრადიცია გვაქვს, როცა მთავრდება ხოლმე მთავრობის წარმომადგენლების სიტყვით გამოსვლა და მიდიან, მხოლოდ აპლოდისმენტებით აცილებენ, არავითარი გარს შემოხვევა და მათი შეწუხება, თუნდაც სურათი გადავიღოთ. ამ შობასაც ასე იყო, მაგრამ არასდროს დამავიწყდება მხოლოდ იმიტომ, რომ სუბარმა და უგულავამ ერთმანეთთან ურთიერთობის ლუსტრაცია მოახდინეს.



**— აბა, ეთერში რომ ჩანდა, სუბარის მცდელობის მიუხედავად, უგულავა არც კი მისალმებია?**

– ეგ იყო ეკლესიაში შემოსვლის კადრები, რომელიც ყველა ტელევიზიას აქვს ხოლმე, კამერები რომ მაგას დააფიქსირებდნენ, ეს უგულავამაც კარგად იცოდა, ამიტომ პიარში მოუგო სოზარ სუბარს. ანუ „ფეხებზე“ დაკიდებით სუბარს მიახვედრა თავისი ადგილი და თან აჩვენა საზოგადოებას, ნახეთ, არაფერი მაკავშირებს ამ კაცთანო. ისე მოულოდნელად და წამებში „შეუსრულა“ სუბარს უგულავამ, თავადაც კი ვერ მოასწრო გააზრება. აი, კამერები რომ გავიდნენ, მოხდა ის, რაც უკვე მოგიყევით.

**ჟანა ასანიძე**

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### საქართველოს კულტურის სამინისტროს მიმართავს



კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი ლევან ანჯაფარიძე საქართველოს კულტურის სამინისტროს მიმართავს. მისი განცხადებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საქმიანობა შეამოწმა კონკურსების ჩატარების კუთხით და დასკვნა დადო, რომელზეც ძალიან ბევრ ხარვეზზეა საუბარი.

მისი განცხადებით, კინოცენტრში აღმოჩენილი დარღვევები წინასწარი შეფასებით, სისხლის სამართლის მუხლებს მიესადაგება. მან კონკრეტული მაგალითებიც დაასახელა და აღნიშნა, რომ მტკიცებულებები უკვე წარადგინა კულტურის სამინისტროში და პასუხს ელოდება.

„მინდა მივმართო კულტურის სამინისტროს, ყველა ის პირი, რომელიც კინოცენტრის შესარჩევ სარეკომენდაციო საბჭოში იყო და რომლებმაც ნანა ჯანელიძე აირჩიეს, არაობიექტურები და დაინტერესებული პირები არიან. მათ აირჩიეს და იცავენ ნანა ჯანელიძეს. ამიტომ მივმართავ კულტურის სამინისტროს, არ დაუშვას თავის სტრუქტურებში არსებული საპასუხისმგებლო პოზიციებზე, ჟიურის წევრად, საკონსტიტუციო საბჭოებში და მისმაგვარ წარმონაქმნებში არაობიექტური პირების დანიშვნა“, – აღნიშნა ანჯაფარიძემ. (ინტერპრესნიუსი)

### საზღვრის გადმოწევით შეშფოთდნენ



„ნაციონალური მოძრაობა“ რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოსთან სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე ოკუპირებული ტერიტორიის სიღრმეში 11კმ-თი გადმოწევის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით უკიდურეს შეშფოთებას გამოთქვამს. პარტიის განცხადებით:

„მიგვაჩნია, რომ აღნიშნული თავხედური ქმედება წარმოადგენს რუსული ოკუპაციის გაგრძელებისა და საქართველოს სუვერენიტეტის შელახვის შეუწყნარებელ ფაქტს. მნიშვნელოვანწილად, მოსკოვის ეს გადაწყვეტილება განპირობებულია საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების მაამებლური და უპასუხისმგებლო პოლიტიკით რუსეთის მიმართ, რაც, მათ შორის, გამოიხატა საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის საკითხის აქტუალიზაციაზე ხელის აღებაში და „რუსეთსა და დასავლეთს შორის საქართველოს გამო წინააღმდეგობის შემცირების“ მავნებლური კონცეფციის ცხოვრებაში გატარებაში. ჩვენ არაერთგზის გავაფრთხილეთ დღევანდელი მთავრობა, რომ რუსეთის ფედერაცია გამოიყენებდა სოჭის ოლიმპიადას საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისა და ეთნიკური წმენდის ლეგიტიმაციის მოსაპოვებლად. მიუხედავად ამისა, მოსვლის დღიდან, „ქართული ოცნება“ დაკავებულია საერთაშორისო დღის წესრიგში საქართველოს საკითხის დაქვეითებით“, – ნათქვამია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)




# ექსკლუზივი

## კულტურის სამინისტროს უკულტურო „გრიალი“...

### რესტორნებში 102 739; ყავაში 10 392; 11 მობილურში 20 733; საჩუქრებში 76 332; სასმელებში 35 044

**რა თანხა დახარჯა გურამ ოდიშარიას უწყებამ საჩუქრებსა და რესტორნებზე? რით იყო გამოწვეული ამდენი ხარჯი და რატომ ასაიდუმლოებენ რამდენიმე რესტორნის მენიუს, რომელში გადახდილი თანხაც კოლოსალურია?**



**ამ საკითხებზე „ალიას“ ფინანსისტი, „მეწარმეთა უფასო დახმარების ცენტრის“ დამფუძნებელი გიორგი ჩახაია ესაუბრა:**

**- გიორგი, თქვენ შეისწავლეთ კულტურის სამინისტროს ხარჯები. ყველაზე თვალშისაცემი რა იყო? არამიზნობრივ ხარჯებს ვგულისხმობ.**

– სამინისტროს მიერ 2013 წელს, ყველაზე არარაციონალურად დახარჯულ თანხებად შეიძლება ჩაითვალოს, სარესტორნო მომსახურებებსა და სხვადასხვა სასაჩუქრე ნივთების შეძენაზე დახარჯული ფულადი სახსრები, თუმცა არის ამავე დროს სხვა თვალშისაცემი შესყიდვებიც. ყველა გაწეული ხარჯი, რომელზეც გვექნება საუბარი, წარმოადგენს მხოლოდ სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ გაწეულ ხარჯს და არა მთლიანად სისტემის. საქვეუწყებო დაწესებულებების ჩათვლით სამინისტროს ამ ტიპის ხარჯები მეტი იქნება. სულ 2013 წელს, კულტურისა სამინისტროს მიერ სარესტორნო მომსახურების შესყიდვაზე დახარჯულია 102 739 ლარი.

**— მენიუ იცით, რაში დაიხარჯა ამდენი ფული?**

– სამწუხაროდ, ხელშეკრულებებს გაურკვეველი მიზეზების გამო არ ახლავს მომსახურე რესტორნის მენიუ, თუმცა მომსახურე რესტორნები წარმოადგენენ, თბილისში მდებარე საუკეთესო რესტორნებს და მენიუც, შესაბამისად, ძვირადღირებული იქნება. თვალსაჩინოებისთვის მაგალითს მოგიყვანთ: „ჯი-ემ-თი მთაწმინდასთან“ დადებულია ხელშეკრულება, 2013 წლის 27 ივნისს გასაწევ სარესტორნო მომსახურებაზე. დახარჯულია 13 195 ლარი მხოლოდ ერთ სარესტორნო მომსახურებაზე, თორემ, ზოგადად, როგორც მოგახსენეთ, სულ 2013 წელს დახარჯულია 102 739 ლარი.

**— როგორც მითხარით, მენიუ გასაიდუმლოებულია. მალავენ, რაში გადაიხადეს ამდენი ფული?**

– შესაძლოა. როდესაც ძვირადღირებულ რესტორანთან ხელშეკრულებას დებ, ბუნებრივია, მენიუც ძვირადღირებული იქნება. ასე რომ მენიუს გარეშეც შეიძლება შეფასების გაკეთება. მესმის, რომ სტუმარს პატივისცემა სჭირდება და, სხვანაირად არც შეიძლება, ეს უნდა იყოს სიმბოლური ვახშამი და არ უნდა გამოვიდეს ისე, რომ რესტორნები უკაცრავად და „თავზე დავიმხოთ“. ეს ყოველივე მაშინ ხდება, როდესაც ქვეყანაში უკიდურეს სიღარიბეში იმყოფება დაახლოებით ნახევარი მილიონი ადამიანი ოფიციალურად, ეს სიღარიბის ზღვარს მიღმა, თორემ, ზოგადად, სიღარიბეში ძალიან ბევრი ადამიანი ცხოვრობს. კულტურის სამინისტროს მხოლოდ ცენტრალურ აპარატში იმდენი თვალშისაცემი ხარჯია, რომ ეს ინფორმაცია იძლევა უკვე ნათელ სურათს, ამ სამინისტროს მიდგომებზე საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიმართ.

**— პირად კომფორტზე რამდენი დაიხარჯა?**

– ავტომობილებსა და ავეჯზე რამე განსაკუთრებული თანხა არ დახარჯულა, იმიტომ, რომ წინა ხელისუფლებისგან ძალიან მაღალი ხარისხის ავტომობილები და ავეჯი გადმოჰყვათ. მათ ჰყავთ 2012 წლის 15 მარტს შეძენილი ავტომობილი „ტოიოტა ლენდკრუიზერ 200“, რომლის ღირებულებაა 128 410 ლარი. ლოგიკურია, რომ 2012 წლის მარტში შეძენილ ავტომობილს 2012 წლის ოქტომბერში არ გამოცვლიდნენ და იგივე შეიძლება ითქვას ავეჯზეც. დარწმუნებული ვარ, რურუას მინისტრობის პერიოდში, ძალიან კეთილმოწყობილი იქნებოდა მინისტრისა და მისი მოადგილეების კაბინეტები და იგივე კომფორტში მუშაობენ ესენიც. საწუწუნო არაფერი აქვთ ნამდვილად. ისე ახალი მობილური ტელეფონის აპარატები კი შეუძენიათ ბლომად. სულ 2013 წელს შესყიდულია 20 733 ლარის ღირებულების ახალი მობილური ტელეფონის აპარატები. აქ თვალშისაცემი ის არის, რომ შეძენილია 1000 ლარზე მეტი ღირებულების 11 მობილური ტელეფონი, მათ შორის: 5 ცალი „აიფონ 5“, 2 ცალი „სამსუნგ N7100 გალაქსი“ და ა.შ. მე მგონი, „აიფონისა“ და „გალაქსის“ გარეშეც, ჩინებულად უნდა შეასრულოს საჯარო მოხელემ საკუთარი მოვალეობა. მათთვის არავის უთქვამს, 40-ლარიანი ე.წ. „ფარნიანი“ „ნოკიათი“ ისარგებლეთო, უბრალოდ, ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა გადავარდნენ. 40 ლარსა და 1340 ლარს შორის დიდი განსხვავებაა და შეიძლება „ოქროს შუალედის“ პოვნა.

**— რაც შეეხება საჩუქრებს, რა სახის საჩუქრები, რა რაოდენობით და რა ფასიანი იქნა შეძენილი?**

– საჩუქრებს რაც შეეხება, ჩემი სუბიექტური მოსაზრებით, აშკარად დიდი თანხაა ამ მიმართულებით დახარჯული. 2013 წელს საჩუქრების შეძენაზე დახარჯულია 76 332 ლარი. მათ შორის არის ასეთი საჩუქრები: სამკერდე ნიშნები და მინანქრის ბროშები, თითოეული 750 ლარის ღირებულების. გარდა ამისა, აქ არ შედის სასაჩუქრე ალკოჰოლური სასმელები.

**— რა ბრენდული სასმელებია შეძენილი?**

– სამინისტროს შეძენილი აქვს 35 044 ლარის ღირებულების ალკოჰოლური სასმელები. ყველაზე ძვირადღირებული შენაძენი, რამაც ჩემი ყურადღება მიიპყრო, იყო, 90 ბოთლი ბრენდი. 1 ბოთლის ღირებულება არის 117 ლარი. 90 ბოთლი 117-ლარიანი ბრენდი შეიძინო და ამაში 10 530 ლარი გადაიხადო, მე არ მესმის, არანაირად, რა აუცილებლობით არის ეს განპირობებული. მათ რომ ჰკითხო ასე არისო საჭირო, მე პირადად კი, როგორც საქართველოს ერთ-ერთ მოქალაქეს, მიმაჩნია რომ, ამ ტიპის ხარჯებში შეიძლება გარკვეული ფულადი სახსრების დაზოგვა, რომელიც უნდა მოხმარდეს სხვა უფრო მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტას.

შესყიდვის რამდენიმე მაგალითს მოგიყვან, რომელიც აშკარად თვალშისაცემი იყო. სულ, 2013 წელს შეძენილია 31 022 ლარის ღირებულების საოფისე ტექნიკა (გარდა კომპიუტერული ტექნიკისა). მათ შორის იყო ციფრული ვიდეოკამერა „პანასონიკის“ კომპლექტი, რომლის ღირებულებაა 18 700 ლარი. მსგავსი ფაქტები უნდა განიმარტოს, რა საჭირო იყო მაინცდამაინც ასეთი ძვირადღირებული ვიდეოკამერის შეძენა.


ინვოისი N970
თარიღი 12/08/2013
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
203851126
ქ. თბილისი, სანაპიროს N4
TEL
E-mail
WEB

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | ბრენდი XO 700 მლ ბოთ. 1 ბოთ. ყუთით | 10 | 117.00 | 1170.00 |
| | | | | 1170.00 |

გარდა ამისა, სულ შეძენილია 67 175 ლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკა და აქსესუარები, მათ შორის კი არის ასეთი ფაქტი – შეძენილია 1 ცალი პერსონალური კომპიუტერი ღირებულებით 4468 ლარი. ვერანაირად ვერ ვხვდები, 4468-ლარიანი პერსონალური კომპიუტერის შეძენა, რა მიზნებისთვის იყო განკუთვნილი კულტურის სამინისტროში. ასევე, იმავე 2013 წლისთვის საკვები პროდუქტების შესყიდვაზე დადებულია ხელშეკრულებები 31 073 ლარის ღირებულების. მათ შორის შესყიდულია ყავა 10 393 ლარის. ნებისმიერი ადამიანის მიერ ყავის სმა ბუნებრივია, მაგრამ 10 393 ლარის ყავა ვინ მიირთვა, საინტერესოა. სწორედ რომ, ამის მსგავს ხარჯებს მივიჩნევ მე პირადად ე.წ. „ზედმეტ ხარჯებად“. ყავაც უნდა დალიო ადამიანმა, მაგრამ არა 10 393 ლარის ღირებულების და არა ბიუჯეტის ხარჯზე, თორემ საკუთარი ფულით ვისაც რა სურს, იმას იყიდის. არ დაგავიწყდეთ, ეს არის მცირე მასშტაბების სამინისტრო, საშტატო რიცხოვნობასა და სტრუქტურულ ერთეულებს ვგულისხმობ თორემ, უფრო დიდი „მოცულობის“ სამინისტროებში მსგავსი ხარჯები კიდევ უფრო მეტია. ათეულობით მილიონზეა საუბარი.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბიზნესმენმა პროტესტის ნიშნად პირი ამოიკერა




მარჯანიშვილზე, „თიბისი ბანკის“ სათავო ოფისთან ბიზნესმენმა ზაზა ზაქარეიშვილმა პროტესტის ნიშნად პირი ამოიკერა. ზაქარეიშვილს ბანკიდან გამოტანილი ჰქონდა სესხი 430 000 დოლარი, 10-წლიანი ვადით, თუმცა, როგორც მისი ადვოკატი განმარტავს, მას სესხის გადახდის ვადა შეუმცირეს და აიძულებენ, რომ ეს სესხი 5 წელიწადში დაფაროს. ადვოკატ ირაკლი ზაქარეიშვილის განმარტებით, აღებული სესხიდან ბიზნესმენს გადასახდელი დარჩა მხოლოდ 260 000 დოლარი. გარდა ამისა, ზაზა ზაქარეიშვილი ასევე ითხოვს, რომ დაახლოებით მილიონ-ნახევრის ქონება, რომელიც მას ჩადებული აქვს ბანკში, გამოუთავისუფლდეს. ადვოკატის შეფასებით, ბანკი არ არის დაინტერესებული, რომ სესხი დაფაროს. მისი თქმით, ბანკი დაინტერესებულია ქონების ჩამორთმევაში.

ადვოკატმა გაავრცელა ზაზა ზაქარეიშვილის განცხადება, სადაც მისი მოთხოვნები ხუთ პუნქტად არის ჩამოყალიბებული. ბიზნესმენი მოითხოვს შეპირებული პირობების შესრულებას და შეპირებული ფართების გამოთავისუფლებას, კერძოდ, მას სესხისთვის ჩადებული აქვს სასტუმრო ქუთაისში, საოფისე ფართი თბილისში, სასტუმრო დაბა ურეკში და სხვა უძრავი ქონება. შეპირებულები იყვნენ, რომ გამოთავისუფლდებოდა უძრავი ქონება დაბა ურეკში და ორი ფართი ბათუმში, პუშკინის ქუჩაზე.

„ჩემი 430-დოლარიანი სესხი, რომელიც 10-წლიანი იყო და მიუხედავად ჩემი თხოვნისა, დაეტოვებინათ ისევ 10-წლიანად, შემიმცირეს 5 წლამდე. მოვითხოვ ისევ 10-წლიანზე გადატანას, დღემდე არ მაქვს გარკვეული არც მე და არც ბანკის თანამშრომლებს, რამდენია ყოველთვიური გადასახადი“, – აცხადებს ბიზნესმენი.

„თიბისი ბანკი“, თავის მხრივ, განცხადებას ავრცელებს. „მზად ვართ, თუკი ის ობიექტურ პრეტენზიებს აყენებს ბანკის მიმართ, დავაკმაყოფილოთ მისი წინადადება. თუმცა, თუკი მისი პრეტენზიები უსაფუძვლოა, ბანკი ცხადია, მათ დაკმაყოფილებას ვერ შეძლებს. თუმცა, სამწუხაროდ, ბანკის წინადადებაზე, შევხვედროდით და დეტალურად განგვეხილა მისი საკითხი, მსესხებელი ორი საათის განმავლობაში უარს ამბობდა და ამჯობინებდა ქუჩაში დგომას, საზოგადოების ყურადღების მიპყრობის მიზნით“, – აღნიშნულია ბანკის განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## საგამოძიებო სამსახური განმარტავს




კეზერაშვილის ცოლის კომპანიებში „პრემი“ და „ოლივდიზაინი“ ფინანსური პოლიცია შევიდა. საგამოძიებო სამსახურის განმარტებით:

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიიდან“ თანხების უკანონო გადარიცხვასთან დაკავშირებით, საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის 2013 წლის 31 დეკემბრის №11ა/10154 განჩინების საფუძველზე მიმდინარეობს კომპანია „პრემისა“ და სამშენებლო კომპანია „ოლივდიზაინის“ საბუღალტრო დოკუმენტაციის ამოღება, ამ უკანასკნელში 50%-იანი წილის მფლობელად ფიგურირებს დავით კეზერაშვილის მეუღლე სოფიო ჩიქოვანი“, – აღნიშნულია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)



# ალიაქოთი



# რას გადაურჩა ჩიორა თაქთაქიშვილი?

მსოფლიოს და შესაბამისად, ჩვენი ყურადღებაც უკრაინისკენ არის მიპყრობილი. ხელისუფლებამ მომიტინგეები სასტიკი მეთოდებით დაშალა და რამდენიმე ადამიანი მძიმედ დაშავდა. ყველაფერი კი ასე დაიწყო – „ბერკუტის“ სპეცრაზმელებმა ვიტალი კლიჩკოს უთხრეს, წადი და წაიყვანე შენი ხალხიო, თუმცა ყოფილმა მოკრივემ და ახლა პოლიტიკოსმა (სპორტიდან პოლიტიკამდე რომ ერთი ნაბიჯია, ყველაზე კარგად ჩვენ ვიცით) განაცხადა, ჩვენ აქ ახალ წელს ვზეიმობთო. ჰოდა, ახალი წელი სანტას გარეშე როგორ იქნებაო და სპეცრაზმელებმა მთასავით კაცს ცეცხლმაქრის ფხვნილი შეაფრქვიეს სახეში და ერთიანად გაათეთრეს. რა დროს არის დაჭერილი მიტინგების დაშლის აკადემიკოსი ვანო, თორემ უკრაინელ კოლეგას ასწავლიდა, რომ ცეცხლმაქრის ფხვნილის შეფრქვევის პარალელურად, კლიჩკოსთვის წყლის წითელი ჭავლიც უნდა მიესხათ და მთლიანად სანტას ფერები იქნებოდა. თუ გახსოვთ, წითელი წყლის ჭავლი და ცრემლსადენი გაზი ქართული მიტინგების დასაშლელად იმდენჯერ გამოიყენეს, კინაღამ მსოფლიო ორგანიზაციამ პატენტი გასცა.

ამ ყველაფერს მშვიდად უყურებს ვლადიმირ პუტინი. ბოლო დროს აშკარად გვაოცებს ეს კაცი (არც მანამდე გვაკლებდა). რუსეთის პირველმა პირმა (სწორედაც რომ პირმა) განაცხადა, მე არაერთი გეი მეგობარი მყავს და მათთან ურთიერთობის პრობლემა არ მაქვსო. მერე პუტინი უფრო შორს წავიდა და ისიც თქვა, გეები პატივისცემით სარგებლობენ, მაგალითად ელტონ ჯონი აიღეთ, რაინდის წოდებაც კი აქვს დედოფლისგანო. ვერ გეტყვით, ამის გამოძახილი იყო თუ სხვა რამის, საქართველოში ათწუთიანი ფილმი გადაიღეს და საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები ჯიუტად გვიმეორებენ, არატრადიციული ორიენტაციის ადამიანები არ განდევნოთ და არ გაკიცხოთო. გადამრევს ეს ხალხი, მე რაღა უნდა გავკიცხო, თუ არატრადიციული ორიენტაციისაა, ისედაც ეყოლება მკიცხველი, მაგრამ რომ მიმტკიცებ, ეს ჩვეულებრივი ამბავიაო, არ მესმის და თუ გინდათ მომკალით. ჩვეულებრივი ამბავი რომ იყოს, არც მოგვიწოდებდით, არ გაკიცხოთო და კიდევ, სწორედ ელტონ ჯონის ქორწინება იყო, ბაბუაჩემს (91 წლის იყო) რომ ვუხსნიდი, როგორ გათხოვდა კაცი და ვერაფრით გავაგებინე, გვარის გამგრძელებელი რომელს უნდა გაეჩინა.

ასე, ნარნარად გადმოვედით ქართულ ამბებზე და ეკა ბესელიათი დავიწყოთ. ამბობენ, ქალბატონი ეკას კანდიდატურა მთავარი პროკურორის თანამდებობაზე განიხილება და თუ მართლაც ასე მოხდა, ვაი და ვუი თაქთაქაანთ ჩიორას. თუ გახსოვთ, ჩიორამ ამას წინათ ეკას შეუტია, ხმას თუ არ დაუწევ, დაგაწევინებო და ახლა, როცა ბესელიას ფარცხალაძის სკამყოფილი „ეჭყანება“, ჩიორა ვერ უნდა იყოს ჭიკჭიკის ხასიათზე.

საკრებულოში კი კვლავ გაურკვევლობაა იმასთან დაკავშირებით, თბილისელების ფული რომელმა მხარემ უნდა ხარჯოს. „ნაციონალები“ ამბობენ, ჩვენ უნდა ვხარჯოთ მინიმუმ ზაფხულამდეო, „ოცნების“ წევრები (ანუ ყოფილი „ნაციონალები“ და არამარტო) კი არ თმობენ, თვიურად ხარჯეთ და ზაფხულის შემდეგ ხარჯვაზე ჩვენ გადავალთო. თვიური კიდევ გიგის მოვალეობის შემსრულებელ სევდია უგრეხელიძეს არ აწყობს, აქაოდა მთლიანი ბიუჯეტი თუ არ გადავანაწილე, ისე არაფერი გამოვა და ნახავთ, მალე რამდენი პროექტი გაჩერდებაო. პროექტების რა გითხრათ, მაგრამ მთაწმინდის მოსახლეობას მშვიდად დაეძინება, რადგან „ნაციონალებმა“ გამაფრთხილებელი გასროლა გააკეთეს და მოციმციმე ანძა გათიშეს. ახლა ორიენტაციით თუ მიხვდები, ანძა რომელ მხარეს დგას, თუმცა ისეა საქართველოში არეული ორიენტაცია, ვინ საით გაიხედება, კაცმა არ იცის... პრინციპში, ანძას კი უნდა მიაგნონ ორიენტაციაარეულებმა...

დავით დარჩიაშვილმა საკუთარი პარტიის ლუსტრაციას მიჰყო ხელი. გამოვიდა და განაცხადა, ხედავთ, უკრაინის ხელისუფლება რას ამბობს, მიმდინარე აქციებს მართულს ეძახის, ეს საბჭოთა მენტალობაა და დროა, ამ მენტალობიდან გამოვიდნენო. თქვენი გამკვირვებია, ბატონო დავით, თორემ ორ კობას (ხაბაზსა და სუბელიანს) რომ ეთქვა ასეთი სისულელე, კი არ გამიკვირდებოდა. თქვენ არ იყავით, სამ კაცს რომ დაინახავდით რუსთაველზე და ბოლო ხმაზე გაჰკიოდით, მართული მიტინგებიაო? რა გამოდის?! საბჭოთა მენტალობა არც თქვენთვის იყო უცხო ხილი და გვიმალავდით? უფრო სწორედ, ამას გვიმალავდით? ჰოდა, საბჭოთა მენტალობამ თავი არჩევნებზე არ დამალა და ეჰე, კი ხართ ახლა გალიაში ჩასმული ჩიორასავით.




კახა კუკავა იერიშზე გადავიდა. თვითმმართველობის რეფორმასთან დაკავშირებული პრემიერ-მინისტრის განცხადების მოსმენის შემდეგ, კუკავამ ბოლო ხმაზე იყვირა, 5 პროცენტი რომ მოუმატეს მერის არჩევის ბარიერს, კარგად დაახვიონ ეგ 5 პროცენტი და პრო...ცენტში გაიკეთონო. ვინ უნდა გაიკეთოს 9 წლის მანძილზე არსებული ეს მაგიური ციფრი, ვერ გეტყვით, მაგრამ ზოგი ისეა შეყვარებული ხუთიანზე, ვინძლო ტაციაობა გაიმართოს.

როცა გავიგე, გიორგი მარგველაშვილი თურქეთში წავიდაო, ვიფიქრე, ამ კაცს უსაქმურობა მოსწყინდა და მეზობელ ქვეყანაში თხილის საკრეფად გადავიდა-მეთქი. მერე გამახსენდა, რომ ახლა თხილის სეზონი არ არის და მივხვდი, როგორც იქნა, საქართველოს ახალი პრეზიდენტი შეელია დუშეთს და ოფიციალური ვიზიტი გამართა. ისე ჩანს, ჯერ მარგველაშვილი ასეთ ვიზიტებს შეუჩვეველია და ახლო ქვეყანა იმიტომ აირჩია, მაგრამ ინციდენტს მისი დელეგაცია მაინც ვერ ასცდა. პრეზიდენტის პრესცენტრის ერთ-ერთ თანამშრომელს თურქი ქალი თმებში ეცა და ის აკეთებინა, რასაც ჩვენი ბედოვლათი (გნებავთ წინა, გნებავთ იმის წინა, გნებავთ კიდევ იმის, იმის წინა) ხელისუფლების გადამკიდე ქართველი ქალები თურქეთში (და არამარტო) ხშირად აკეთებენ, მუხლებით იქაური სასტუმროს იატაკი აწმენდინა. ოფიციალური ვერსიით, ის აგრესიული ქალბატონი ფსიქიკურად შეშლილი ყოფილა, თუმცა წინა პრეზიდენტისგან დაშინებულები, თავს ვერ დავდებთ, რომ ინციდენტის მიზეზი ნამდვილად ეს იყო.

ნოდარ ხადური პრემიერთან იყო და გამაოგნა. როგორც ფინანსთა მინისტრი ამბობს, ოქტომბერში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა 4.1% შეადგინა, ნოემბერში – 8.1%, დეკემბერში კი – 8.5%. არადა, ოქტომბრიდან რომ დაიწყო ვარდნა ლარის კურსმა, ჯერ არ გაჩერებულა და რა მაინტერესებს, იცით? ეს ეკონომიკური ზრდა რომ მიდის, იმიტომ ხომ არ იწევს ქვემოთ ლარი და საერთოდ, წინა ხელისუფლება იყო და მთელი 9 წელი გვიმტკიცებდა, იზრდება და იზრდებაო, ახლა კიდევ ესენი არიან და ისევ იმავეს იმეორებენ, იზრდება და იზრდებაო და რა არის ასე არგასაზრდელი, 10 წელია, რომ იზრდება და ჩვენ ვერ ვხედავთ?! თუმცა, მაგის რა გვიკვირს, ღამით ანძას ვერ ვხედავთ და...

ლევან ღვინიაშვილი

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## 50%-იანი ბარიერის დაწესებას ითხოვენ



„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მერებისა და გამგებლების არჩევისთვის 50%-იანი ბარიერის დაწესების მომხრეა.

ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის ეკა გიგაურის განცხადებით, დემოკრატიის უფრო მაღალი სტანდარტის გამოვლინება იქნება ის, რომ აღნიშნული თანამდებობის პირები მოსახლეობის უმრავლესობის მიერ იქნენ არჩეულნი.

„ის ინიციატივა, რომელიც გაჟღერდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ და რომელზეც საუბრობს უმრავლესობა, ვფიქრობთ, გაუმჯობესებული ვარიანტია და მნიშვნელოვანია, რომ ბარიერი გაზრდილი იქნას, თუმცა ჩვენთვის გაუგებარია, რატომ არის საუბარი 40%-ზე. სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში აღნიშნულ ცვლილებებში საუბარია 50%-იან ზღვარზე. ეს არის ის, რომელიც პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო. შესაბამისად, ჩვენთვის გაუგებარია, რატომ მოხდა მმართველი კოალიციის პოზიციის შეცვლა ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

ჩვენი ორგანიზაციის პოზიციაა, რომ მერებისა და გამგებლისთვის ზღვარი აიწიოს 50%-მდე. ვფიქრობ, ეს იქნება უფრო სწორი და ამ შემთხვევაში ვისაუბრებთ დემოკრატიის უფრო მაღალ სტანდარტზე. 50%-იანი ბარიერის გადალახვის შემთხვევაში, არჩეული პირის ლეგიტიმაცია იქნება უფრო მაღალი, იქიდან გამომდინარე, რომ მას მოსახლეობის უმეტესობამ დაუჭირა მხარი. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მეორე ტურის ალბათობა არსებობს და როგორც ამბობენ, საქართველოსნაირ ქვეყანაში ეს არ არის მიზანშეწონილი, რადგან კონკრეტულ ხარჯებთანაა დაკავშირებული, თუმცა, მეორე მხრივ, თუკი დემოკრატიის უფრო მაღალ ხარისხზე ვსაუბრობთ, მოსახლეობის უმეტესობის პოზიცია და დამოკიდებულება უნდა იქნას გათვალისწინებული, როცა საქმე შეეხება გამგებელს და პირდაპირ არჩეულ მერს“, – აღნიშნა გიგაურმა. (ინტერპრესნიუსი)

## შარაძის მკვლელობაში მონაწილე პირებს ასახელებს



რუსუდან შარაძე გურამ შარაძის მკვლელობაში მონაწილე პირებს ასახელებს. მისი თქმით, საქმეში უმნიშვნელოვანესი მოწმეა ყოფილი პოლიციელი და მეგის ქარდავას დაქვემდებარებაში მყოფი პირი გურიკა ქადარია. სწორედ მას დაავალა მეგის ქარდავამ გურამ შარაძის მკვლელობა.

„გურამ შარაძის მკვლელობის სისრულეში მოსაყვანად მეგის ქარდავამ გურიკა ქადარიას უბრძანა ზუგდიდიდან თბილისში ორი სპეცრაზმელის – გიას ფაჩულიას და თემურ ჯგერენაიას გადაყვანა. ესენი არიან ის სპეცრაზმელები, რომლებსაც მეგის ქარდავას გეგმის მიხედვით, მამაჩემი უნდა მოეკლათ. ქარდავამ ქადარიას წინასწარ 5 000 დოლარი გადაუხადა“, – განაცხადა რუსუდან შარაძემ.

ის მოითხოვს, დაიკითხოს მის მიერ დასახელებული ყველა პირი და ახლად აღმოჩენილი გარემოებების საფუძველზე, დაიწყოს გურამ შარაძის მკვლელობის ხელახალი გამოძიება. რუსუდან შარაძე ასევე მოითხოვს, რომ მის მიერ დასახელებული მოწმის, გურიკა ქადარიას სიცოცხლე და უსაფრთხოება შესაბამისი უწყებების მიერ იყოს დაცული.

გურამ შარაძე 2007 წლის 20 მაისს თბილისის ცენტრში მოკლეს. (ინტერპრესნიუსი)

## სპორტის ისტორიაში ყველაზე უხეში საფეხბურთო მატჩი



სულაც არ არის გასაკვირი, როცა უხეშობისთვის მსაჯი ფეხბურთელებს საუკეთესო შემთხვევაში, ყვითელი ბარათით „აჯილდოვებს“. რაც შეეხება წითელს, ოოო, გიჟდებიან ხოლმე თავად სპორტსმენებიც და არც გულშემატკივრები რჩებიან გახარებულები, თუმცა ის, რაც 1969 წლის 3 ნოემბერს დიდ ბრიტანეთში მოხდა, სპორტის გაგების ჩარჩოებს აშკარად სცილდება.

იმ დღეს ერთმანეთს ნაკლებად ცნობილი ტონგჰემის ახალგაზრდული კლუბი „სურეი“ და „ჰაუ-ლი“ ხვდებოდნენ.

სწორედ ამ კლუბების ფეხბურთელებმა ითამაშეს სპორტის ისტორიაში ყველაზე უხეში და არადისციპლინებული ფეხბურთი. სპორტსმენები იმდენად არასპორტულად იქცეოდნენ ადგილობრივი თასის მოპოვებისთვის, რომ არბიტრმა მოედნიდან... 22 ფეხბურთელი გააძევა. დიახ, წითელი ბარათი აბსოლუტურად ყველა ფეხბურთელმა მიიღო, მათ შორის, ერთ-ერთი ჰოსპიტალში მოხვდა, თუმცა ამით ყველაფერი როდი სრულდება? მთავარმა არბიტრმა გვერდითი მსაჯიც კი დასაჯა, რომელიც ერთ-ერთი გუნდის დახმარებას ცდილობდა.

*blogprofootball.ru*

## არსებობს ხე, რომელიც იურიდიულად ფლობს საკუთარ თავს და 2,5 მეტრ მიწას



აი, თურმე, როგორ პატივს სცემენ ამერიკაში საკუთრებას, თანაც არა მხოლოდ ადამიანების, არამედ ხეებისაც კი. ყოველ შემთხვევაში, ჯორჯიას შტატში არსებობს მუხა, რომელიც საკუთარი თავისა და ასევე, მის გარშემო არსებული მიწის გარკვეული მონაკვეთის კანონიერი მფლობელია. ეს მუხა „მამა მუხის“ ვაჟი და მემკვიდრეა, რომელმაც საკუთარი თავი და მიწა საჩუქრად მიიღო. აი, როგორ მოხდა ეს ყველაფერი:

1890 წელს უილიამ ჯექსონმა, რომელიც იმ მომენტში მიწის მფლობელი იყო, გადაწყვიტა, საყვარელი ხისთვის საკუთრების უფლება დოკუმენტურად გაეფორმებინა. მუხის ხე ჯექსონს ბავშვობას აგონებდა და სწორედ ამიტომ ჰქონდა მის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება.

უილიამ ჯექსონი სამხედრო ყოფილა, ხშირად უწევდა შორეულ ქვეყნებში გამგზავრება და სურდა, მუხას არაფერი დამართნოდა. ჰოდა, გადაწყვიტა, რომ როცა ხე საკუთარი თავის იურიდიული მფლობელი იქნებოდა, მას ხელს ვერავინ ახლებდა. ჯექსონმა იურისტი დაიქირავა და უცნაური ჩანაფიქრი განახორციელა კიდეც.

1942 წელს მუხა გახმა და წაიქცა და მის ადგილზე მისივე რკო დაითესა. რკოსგან შვილი-მუხა გაიზარდა, რომელსაც მიწის ნაკვეთი როგორც კანონიერ მემკვიდრეს, ისე დაუმტკიცდა.

*mainfun.ru*

## ამერიკელი ქალი რამდენიმე თვე მუცლით... თავის ქალას ატარებდა

არ ვიცით, ასეთი დაუჯერებელი რამ, ალბათ, კინოშიც არ გვინახავს, თუმცა ფაქტია,



ამერიკული მედია სწორედ იმაზე წერს, რომ ყოფილ „მის აიდაჰოს“, ვინმე ჯემი ჰილტონს უჩვეულო პროცედურა ჩაუტარდა. მიმდინარე წლის ივნისში ის უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა, რის გამოც, ექიმებმა თავის ქალის ნაწილი მოჰკვეთეს.

ოპერაციის დროს ქირურგებმა მას თავის ქალის 25 პროცენტი მოჰკვეთეს, რისი მიზეზიც ტვინის ძლიერი გაბერვა (თურმე, ასეც ხდება) გახდა. ტვინისთვის სხვა ადგილი იყო საჭირო, რათა ნორმალური ზომები დაბრუნებოდა. ჰოდა, ექიმებმა თავის ქალის ნაწილი პაციენტის მუცელში გადაიტანეს, რათა „ტრადიციულ ადგილზე“ დაბრუნებამდე საჭირო „კვება“ მიეღო.

ნელ-ნელა ჯემი ჰილტონს ჯანმრთელობა უბრუნდებოდა, რაშიც თავის ქალის უქონლობა ხელს დიდად არ უშლიდა.

მას შემდეგ, რაც ტვინი დაცხრა, ექიმებმა თავის ქალის ფრაგმენტი ძველ ადგილზე დააბრუნეს.

ჰილტონმა ეს ოპერაციაც გადაიტანა და ამ მანიპულაციების ერთადერთი გართულება ის აღმოჩნდა, რომ პაციენტს გემოს აღქმა შეეცვალა და ყნოსვა დაკარგა.

– კვლავ შემიძლია ვიკითხო, ვწერო, ვიარო, ვიცეკვო და შვილებზე ვიზრუნო, – ამბობს 36 წლის ამერიკელი.

*infoniac.ru*

## მეცნიერებმა ტვინის უჯრედები... შარდისგან შექმნეს



ვისაც ერთი პოპულარული უხეში გამოთქმა უყვარს: „შენ თავში ფეხი ხომ არ გაქვსო“, მოუწევს, გადახედოს ამ არჩევანს და ამიერიდან „შენ თავში შარდი ხომ არ გაქვსო“, თქვას. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ზოგ შემთხვევაში, ამ კითხვაზე შეიძლება დადებითი პასუხიც კი იქნეს გაცემული. როგორ და რანაირად? ახლავე ყველაფერს მოგახსენებთ:

მეცნიერებმა შარდის ნეირონებად გადაქცევის ხერხს მიაგნეს.

ახალი მეთოდი ადამიანის შარდში შემავალი უჯრედების გამოყენებას გულისხმობს, რაც მათ სამომავლოდ ღეროვანი უჯრედების შესწავლაში დაეხმარება. სიახლის ავტორთა თქმით, მათი მეთოდი განსაკუთრებით ბავშვებში იქნება სასარგებლო, რადგან მათგან შარდის ანალიზის აღება ბევრად ადვილია, ვიდრე სისხლის.

ამ უცნაური და ალბათ, მნიშვნელოვანი მიღწევის ავტორები ჩინელი მეცნიერები არიან გუანჩჟოუს ბიომედიცინსა და ჯანმრთელობის ინსტიტუტიდან.

საინტერესოა, რომ წარსულში მეცნიერებმა ანალოგიური შედეგი უკვე მიიღეს სისხლისა და კანის გამოყენებით, თუმცა, მათი თქმით, შარდი ბევრად უფრო ხელმისაწვდომი წყაროა.

ჩვეულებრივ, მეცნიერები ღეროვან უჯრედებს ლაბორატორიებში 25 დღეში ღებულობენ, რისთვისაც კანის ბიოფსიასა და სისხლის ანალიზს იყენებენ. შარდისგან ღეროვანი უჯრედების მიღებას კი 12 დღე სჭირდება, ხოლო 4 კვირაში უკვე მუშა ნეირონების მიღებაც ხერხდება.

*pravda.ru*

## მედდამ პაციენტს ვენაში შეცდომით... რძიანი ყავა შეუყვანა




ეხვეწა პაციენტი, თურმე, 1 კოვზი შაქარი უყავი მარტო, ტკბილი არ მიყვარსო, მაგრამ რად გინდა, მოუსმინა ვინმემ?!

ბრაზილიური მედიის ინფორმაციით, სამწუხაროდ, შემთხვევა ტრაგიკულად დასრულდა – საავადმყოფოში ფილტვების ანთების გამო მისული პაციენტი მას შემდეგ გარდაიცვალა, რაც ვენაში შეცდომით რძიანი ყავა შეუყვანეს.

უპატიებელი შეცდომა 23 წლის მედდამ მორეირა ტელესმა დაუშვა, რომელიც კლინიკაში პრაქტიკებს გადიოდა.

ცნობილია, რომ მორეირა ტელესს კლინიკაში პრაქტიკების მესამე დღე ჰქონდა. ექიმმა მას პაციენტისთვის საჭმლის მიცემა სთხოვა, რომელიც ავადმყოფობის გამო დამოუკიდებლად ვერ მოძრაობდა.

ექიმის თქმით, ის დარწმუნებული იყო, რომ მომავალი მედდა პროცედურისთვის ზონდს გამოიყენებდა და აზრადაც კი არ მოსვლია, რომ ტელესი პაციენტს რძიან ყავას პირდაპირ ვენაში შეუყვანდა.

ასეა თუ ისე, საცოდავ პაციენტს სისხლში რძიანი ყავის შერევისთანავე კრუნჩხვები დაწყებია, რაც ექიმებს არ გამოჰპარვიათ და ყველაფერი გააკეთეს მის გადასარჩენად, თუმცა უშედეგოდ.

მოკლედ, ერიდეთ პრაქტიკანტ მედდებს, მით უმეტეს, თუ ისინი ახალგაზრდები არიან, ხოლო თუკი ხელში ყავაც დაუნახეთ, მაშინვე პატრულს დაურეკეთ!!!

*dr20.ru*

## ახალი კონტაქტური ლინზები ახლომხედველობას კურნავს



სტატისტიკის თანახმად, მსოფლიოში ყოველ მესამე ადამიანს ახლომხედველობა, ანუ მიოპია აწუხებს. მიუხედავად ასეთი „პოპულარობისა“, დეფექტის მკურნალობა ვერ ხერხდება, ხოლო სათვალე და კონტაქტური ლინზები მხოლოდ მხედველობის კორექტირებას ახდენენ. გარდა ამისა, სავსებით შესაძლებელია, ახლომხედველობამ პროგრესირება განიცადოს და ადამიანს სულ უფრო ძლიერი კონტაქტური ლინზები დასჭირდეს.

ახლა უკვე ამერიკელმა მეცნიერებმა დევიდ ტროილოს ხელმძღვანელობით ამ პრობლემის მოგვარება შეძლეს. კერძოდ, მათ მიოპიის მკურნალობის პოტენციური მეთოდი შეიმუშავეს, რისთვისაც კონტაქტური ლინზების გამოყენება იქნება საჭირო. ამ ლინზების გამოყენებით, ბავშვებში თვალები სწორი მიმართულებით განვითარდება.

ცნობილია, რომ ამ დროისთვის, სიახლის ავტორები კონტაქტური ლინზების კომერციულ ვერსიაზე მუშაობენ, რათა ახლომხედველ ბავშვებს პრობლემის მოგვარებაში დაეხმარონ.

*medkarta.com*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

# იდუმალებით მოცული ფსიქიკური დაავადებები



1. შუა საუკუნეების „საცეკვაო“ შავი ჭირი – 1374 წელს დასავლეთ ევროპაში, მდინარე რეინის ხეობის სოფლები სასიკვდილო დაავადებამ მოიცვა – საცეკვაო შავმა ჭირმა, ანუ მეცნიერულად – ქორეომანიამ. ქუჩებში ასობით ადამიანი ხტუნაობდა და ცეკვით მუხლებს იტყავებდა. დღეების მანძილზე მათ თითქმის არ ეძინათ, არაფერს ჭამდნენ, სანამ სისხლისგან შეღებილ ფეხებში ძალა არ გამოეცლებოდათ.

შემდეგ ჭავი ჭირი გაქრა – ისევე უეცრად, როგორც დაიწყო.

დაავადების შემდგომმა კერამ 1518 წელს სტრასბურგში იფეთქა, როცა ყველასთვის მოულოდნელად ვინმე ფრაუ ტროფეა ქუჩაში გავარდა, ცეკვა დაიწყო და რამდენიმე დღე ვერაფრით გაჩერდა. კვირის მანძილზე მას კიდევ 34 ადამიანი შეუერთდა, თვის ბოლოს კი მოცეკვავეთა რაოდენობა 400-მდე გაიზარდა. ათობით მოცეკვავე ადამიანი უეცრად იცელებოდა და უსულოდ ვარდებოდა მიწაზე – ზოგი ინფარქტისგან, ზოგი ინსულტისგან. ამ შემთხვევაშიც, დაავადება უეცრად გაქრა.

უამრავი მეცნიერი ცდილობდა ამ საოცრად უცნაური მოვლენის ამოხსნას. გარკვეული პერიოდი ვრცელდებოდა მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ადამიანები პურით, კერძოდ კი ჭვავის რქით მოიწამლნენ, სოკოთი, რომელიც ორგანიზმში მოხვედრისას იწვევს ციებ-ცხელებას, კრუნჩხვებს, ბოდვას. ისტორიის მეცნიერებათა პროფესორი ჯონ უოლერი მიჩიგანის უნივერსიტეტიდან ამ ვერსიას არ იზიარებს, რადგან ორივე შემთხვევაში საუბარი იყო ცეკვაზე და არა კრუნჩხვებზე. მეორე პოპულარული თეორია, რომლის თანახმადაც, ადამიანების სიცოცხლე უცნობმა საცეკვაო კულტმა შეიწირა, უოლერს ასევე არ მოეწონა. თავად საზოგადოებას ასეთი თეორია შესთავაზა: ეს იყო მასობრივი ფსიქოგენური (ფსიქიკური ტრავმით განპირობებული) დაავადებები, რისი მიზეზიც შიშები და დეპრესია გახდა. კერების გაჩენას წინ უსწრებდა შიმშილი, მოსავლის განადგურება, წყალდიდობები, მოკლედ, ყველაფერი ის, რაც შეიძლება ხალხს ბიბლიურ კატასტროფასთან გაეიგივებინა. ამდენად, რაღაც ზებუნებრივთან შეჯახების შიშით, ყველა ადამიანი ერთგვარ ტრანსის მდგომარეობაში ჩავარდა. ამ ყველაფრის გარდა, საცეკვაო შავი ჭირი წმინდა ვიტუსის სახელსაც უკავშირდება, ქრისტიან წამებულს, რომლის ქანდაკების წინ ცეკვა, მაშინდელი ხალხის რწმენით, ჯანმრთელობას აძლიერებდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ცეკვა გადარჩენისთვის უცხო ხილი არ უნდა ყოფილიყო და საჭირო იყო მხოლოდ ერთი ადამიანი, რომელიც მარათონს დაიწყებდა.

2. 1962 წლის სიცილის ეპიდემია ტანგანიკაში

ეს კოშმარი 1962 წლის 30 იანვარს დაიწყო, თანაც ჩვეულებრივი ხუმრობით. თანგანიკას სკოლის სამმა მოსწავლემ რაღაცაზე დაიწყო სიცილი, მაგრამ გაჩერება უკვე ველარ შეძლო. სულ მალე ერთბაშად 95 მოსწავლე ხარხარებდა. ეპიდემიამ საკმაოდ დიდი მასშტაბები მიიღო და საჭირო გახდა სკოლის 2 თვით დახურვა.

სიცილი ბლავილში იზრდებოდა, რომელსაც თან ახლდა პანიკის შეტევები და ზოგ შემთხვევაში, აგრესიის გამოვლინებაც.

სკოლა მარტში დაიხურა, სადაც 159 მოსწავლიდან 95 დაინფიცირდა. 10 დღის შემდეგ დაავადების ახალმა ტალღამ მეზობელ სოფელში იჩინა თავი. საერთო ჯამში, მარტიდან მაისამდე დაავადების მსხვერპლი 217 ადამიანი გახდა.

მეცნიერებმა დღემდე ვერც ეს საიდუმლო ამოხსნეს.

3. კორო ანუ შესრუტვადი გენიტალიების სინდრომი

კოროს სინდრომი – ეს არის მამაკაცებში გაჩენილი შიში, როცა მათ ეჩვენებათ, რომ პენისი მუცლის ღრუში შეიწოვება.

თავისთავად, უცნაურია დაავადება, მაგრამ უფრო მეტად გასაკვირია ის, რომ მას სწორედ ეპიდემიის სახე ჰქონდა მიღებული. პირველი შემთხვევა, რომელიც ისტორიაშია აღწერილი, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 300 წელს ფიქსირდება. ყველაზე ხშირად, კოროს გამოვლინება აფრიკასა და აზიაში ხდებოდა და მას თან ახლდა სიკვდილის შიშიც.

კოროს უკანასკნელი კერა 1967 წელს სინგაპურში დაფიქსირდა, სადაც ათასზე მეტი მამაკაცი ცდილობდა, მუცელში სასქესო ორგანოს „შეწოვა“ სხვადასხვა ხელნაკეთი ნივთით შეეჩერებინა.

დაავადების კიდევ ერთი უცნაურობა ის გახლავთ, რომ მსგავსი რამ ქალებშიც შეიმჩნევა – ისინი განიცდიან პანიკას, რომ მათი მკერდი თუ კერტები ქრება. ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ მსგავსი ეპიდემია დამახასიათებელია კულტურებისთვის, სადაც ადამიანის ღირსება ფასდება მისი რეპროდუქციული შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ყველაზე ხშირად, ეპიდემიებს წინ უძღოდა სოციალური დაძაბულობა და საერთო მღელვარება.

ჩინეთში კოროს სინდრომის გაჩენას ჰული-ცზინს, ანუ მაქცია მელიების სულს მიაწერენ, აფრიკაში კი დარწმუნებულები არიან, რომ ეს ყველაფერი ჯადოქრობის შედეგია.

*factroom.ru*



თეონას ყოველთვის ეშლებოდა ერთმანეთში ჩასახვის საწინააღმდეგო და დამამშვიდებელი აბები...

ახლა მას 15 შვილი ჰყავს და სულ ფეხებზე ჰკიდია.

*****



– როცა პატარა ვიყავი, ვოცნებობდი, რომ ერთხელაც მშვენიერი პრინცი მომიტაცებდა... ახლა ამაზე ჩემი ქმარი ოცნებობს...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ,*
*დავით ახობაძის ნახატები*



სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

მეუღლე ლილი შუბლაძე, შვილები თინიკო, ლელა, და დოდო გახოკიძე, ძმები შოთა, გოგი, სიძე ილია ბაბუაძე, ცოლისდა თალიკო შუბლაძე, შვილიშვილები ქეთევან და ანზორიკა გალდავები, დავით, შალვა და ნინო ბაბუაძეები, შვილთაშვილი ლუკა, დისშვილები, ძმისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ანზორ შალვას ძე შენგელია**

**დაკრძალვა:** ხუთშაბათს, 23 იანვარს, 14 საათზე, სამტრედიაში, ნიკურაძის №41.

დები მზია და ზირა ლაფერაძეები, დისშვილები გოგა და მაია მალლაკელიძეები, რძალი ნინო ქუბიაშვილი, სიძე თემურ ხომერიკი, შვილიშვილები მარიამი, ზურაბი, დავითი, ახლო ნათესავები და მოყვრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა.

**როზა დავითის ასული ლაფერაძე**

პანაშვიდები: 21-22 იანვარს, 17 საათზე;
მისამართი: ვაჟა-ფშაველას მე-3 კვარტალი/მეტრო ვაჟა-ფშაველასა და ვაჟა-ფშაველას ძეგლის მიმდებარედ, მე-8 კორპუსი, პირველი სადარბაზო, მე-3 სართული, ბ.9.
დაკრძალვა: ხუთშაბათს, 23 იანვარს, 14 საათზე.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

# წონის დაკლებაში ფულის დაკარგვის შიში დაგეხმარებათ



დაახლოებით 8 თვე აკვირდებოდნენ მეცნიერები 26-დან 58 წლამდე ასაკის 60-მდე ქალსა და მამაკაცს და იცით, რა დაადგინეს?

– ექსპერიმენტის ის მონაწილეები, რომლებიც ფულის და, ზოგადად, ქონების დაკარგვაზე ნერვიულობდნენ... წონაში იკლებდნენ.

ეს უცნაური კანონზომიერება, უფრო მეტად, მშვენიერ სქესზე ვრცელდებოდა. რაც შეეხება მამაკაცებს, მათ შემთხვევაში ჭარბ წონას მხოლოდ 12 პროცენტი გამოემშვიდობა.

სპეციალისტების განმარტებით, ადამიანები, რომლებსაც გაღარიბების შიში აწუხებთ, ცდილობენ, მაქსიმალურად შეამცირონ რაციონი და, ამასთანავე, გაცილებით მეტი იმოძრაონ. ბუნებრივია, ამის შემდეგ წონაში აღარ მატულობენ.

ასეთი შედეგების მიღების შემდეგ, სპეციალისტები აპირებენ, ექსპერიმენტების დახმარებით დაადგინონ, რამდენად უკავშირდება შემოსავლის შემცირების შემდეგ გამოწვეული წონის დაკლება ნერვულ-ემოციურ ფაქტორებს?

*tainamira.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

„ალია“ და „ქრონიკა“ აცხადებს კონკურსს ტექნიკური რედაქტორის თანამდებობაზე. აუცილებელია დიზაინის, Page Maker-ის, CorelDraw-ის, Photoshop-ის და Adobe Acrobat Professional-ის პროფესიონალურ დონეზე ცოდნა. დეტალების გასარკვევად დაგვიკავშირდით: 577777436.

გაზეთები ალია და ქრონიკა

სამუშაოდ იწვევს სააგენტოების ინფორმაციებზე მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტს

ტელეფონი: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**16 იანვარი:** პირადი ბიზნესისთვის შეუფერებელი დღეა. ამიტომ, შეძლებისდაგვარად, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება შემდგომისთვის გადადეთ.

**კურო 22.04-21.05**
**16 იანვარი:** თქვენი ძალისხმევა შეუმჩნეველი არ დარჩება, მაგრამ დიდ წარმატებას არ მოგიტანთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**16 იანვარი:** დიდია ალბათობა, რომ ნაცნობებს მოულოდნელ ადგილებში წააწყდეთ, რაც სხვადასხვა შედეგებს გამოიწვევს, მათ შორის, უსიამოვნოსაც.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**16 იანვარი:** დღეს მხოლოდ იმას დაინახავთ და მოისმენთ, რაც გინდათ. ეს ურიგო არ არის, მაგრამ აჯობებს, რეალობას დაუბრუნდეთ.

**ლომი 23.07-22.08**
**16 იანვარი:** დღეს იღბალი თქვენს მიმართ ლოიალური არ იქნება, ამიტომ ყველანაირად შეეცადეთ, კამათში და რაიმე სახის კონფლიქტებში არ ჩაერთოთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**16 იანვარი:** ნებისმიერი სახის რისკზე წასვლა, მინიმალურზეც კი, თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება. აკრძალულ ადგილას ქუჩა არ გადაკვეთოთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**16 იანვარი:** ნებისმიერი სახის კამპანიაში თავს ლაღად იგრძნობთ. წარმატებული დღე იქნება სხვადასხვა ტიპის მოლაპარაკებებისთვის.

**მორიელი 23.10-21.11**
**16 იანვარი:** შეეცადეთ, დღეს გულუხვი იყოთ. მცირედი დანახარჯები ახლო მომავალში დიდ სარგებლობას მოგიტანთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**16 იანვარი:** აკრძალული ხილის მიმართ დაუოკებელი ლტოლვა გაგიჩნდებათ. მას აუცილებლად დაეუფლებით, მაგრამ იქნებ აჩქარება საჭირო არ იყოს.

**თხის რქა 22.12-19.01**
**16 იანვარი:** შეიძლება დღეს მოგეჩვენოთ, რომ ჭკუიდან შეიშალეთ. სანერვიულო არაფერია, ეს მხოლოდ გონების დროებითი დაბინდვაა.

**მერწყული 20.01-18.02**
**16 იანვარი:** სამსახურებრივ რომანებს მოერიდეთ. თუ ეს პროცესი უკვე დაწყებული გაქვთ, შეეცადეთ, მაქსიმალურად გაასაიდუმლოოთ.

**თევზები 19.02-20.03**
**16 იანვარი:** ეს დღე გარკვეულ ცვლილებებს მოითხოვს, თუნდაც თქვენი შეხედულებების. ალტერნატივა მოუძებნეთ ყველაფერს, რაც არ გაწყობთ.

**თბილისის ბიზნეს ტრენინგის ცენტრი**

ინგლისური ენის გაძლიერებული კურსები თოტალ Eნგლისჰ ყველასთვის. სწავლა დაიწყება 3 თებერვალს.
**მისამართი:** თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 10, ოფისი 38.
**ტელეფონი:** 222-45-32, 236-98-66

**თბილისის ბიზნეს ტრენინგის ცენტრი აცხადებს მიღებას ინტენსიურ ექსპრესკურსებზე:**

- საბუღალტრო აღრიცხვა
- სამედიცინო მარკეტინგი
- ქონების რეგისტრაციის სამართლებრივი რეგულირება.

სწავლა დაიწყება 4 თებერვალს.
**მისამართი:** თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 10, ოფისი 38.
**ტელეფონი:** 222-45-32, 236-98-66

# დასვით დიაგნოზი თმების მდგომარეობის გათვალისწინებით



ექიმები ერთ ძალიან საინტერესო საიდუმლოს ამხელენ, რომელიც საშუალებას იძლევა, კონკრეტულ ადამიანის ავადმყოფობა მისი თმების მდგომარეობის გათვალისწინებით გამოაშკარავდეს. რაც მთავარია, მეთოდი რთული სულაც არ არის და გარკვეული წარმატებების მიღწევას, ალბათ, ყველა შეძლებს.

მსხვრევადი თმის ღერები გვამცნობენ, რომ ადამიანს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პრობლემები აწუხებს.

თმის ცვენის მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ფარისებრი ჯირკვალი მთლად საუკეთესო მდგომარეობაში არ უნდა იყოს.

არასწორი კვების შედეგი შეიძლება გახდეს თმის ღერების დაბოლოებების დაყოფა, ხოლო თმის ნელი ტემპებით ზრდა ნერვული სისტემის სისუსტეებზე მიუთითებს.

იმ შემთხვევაში, თუკი თმა მოულოდნელად მუქდება, ორგანიზმი განიშნებთ, სასწრაფოდ ნაღვლის ბუშტსა და ღვიძლს უნდა მიხედოთ, თანაც სასწრაფოდ!

რაც შეეხება ჭაღარის გაჩენას, ამას რამდენიმე მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: დიდი რაოდენობით მარილის მიღება, სასქესო ჯირკვლების ფუნქციონირების მოშლა, მჟავიანობის მომატება და სისხლით გულის მომარაგების დანაკლისი.

*medportal.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ქორწინების იუბილეზე ცოლ-ქმარს საიდანღაც კეთილი ფერია მოევლინა და უთხრა:

– იმის გამო, რომ 35 წელი ერთად ხართ, ჩაიფიქრეთ ნებისმიერი სურვილი და აუცილებლად აგისრულებთ.

ცოლი:

– მინდა, ქმართან ერთად სამოგზაუროდ წავიდე, – ამის თქმა იყო და ხელში 2 ბილეთი გაუჩნდა.

ქმარი:

– მინდა, 30 წლით უმცროსი ცოლი მყავდეს...

ცოლი და ფერია შოკში არიან. ფერიას ფერი ეცვალა და... ქმარი 92 წლის გახდა...

მორალი: დაუნახავო ქმრებო, გახსოვდეთ, რომ ფერიებიც ქალები არიან!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

» 211359457

დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
ბადრი ძევანიშვილი

რედაქციის მისამართი:
აკადემქალაქი, I კვარტალი
მე-4 კორპ.
I სართული
(ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.40

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80 ან 233 20 06
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

® დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.